# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 დეკემბერი 2001 №230 (1503) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკელი ანასტასია დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ჰიმნს იმღერებს, პელე კი მეფურად დააფასებს წილისყრას

# მსოფლიო ჩემპიონატს იწყებს

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

შესაძლოა, ისეც მოხდეს, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები საგონებელში ჩავარდნენ: რომელი მატჩით გაიხსნას გერმანული მუნდიალი? ეს კითხვა არცთუ უსაფუძვლოა და პასუხმა, პირველად მინდორზე მოქმედი ჩემპიონები გადიანო, იქნებ ვერც ივარგოს, რაკი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა, შესაძლოა, უჩემპიონოდ ჩაიაროს. არა, კორეა-იაპონიაში გასამართ ჩემპიონატს ჩაშლის საფრთხე არ ემუქრება, ამგვარი ალბათობის საფუძველი სხვაა. კერძოდ, გუშინ ფიფამ გადაწყვიტა: ამიერიდან მსოფლიოს ჩემპიონები ავტომატურად აღარ ითამაშებენ მომდევნო პირველობაზე და მათ, ყველა დანარჩენის მსგავსად, შესარჩევი ეტაპის გავლა მოუწევთ. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ამ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა და ვინძლო, ასეც იყოს. ჰოდა, ნუ გაიკვირვებთ, თუ მომდევნო შესარჩევ ციკლში 2002 წლის ტრიუმფატორი თბილისში გვეწვევა საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ. რაც შეეხება თავში ნახსენებ ალბათობას, რატომაც არა — აკი, ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დანია ოთხი წლის მერე კვალიფიკაციაგაუვლელი დარჩა. მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის საქმეა, დღეს კი კორეის ქალაქ-ნავსადგურ პუსანში მსოფლიო გადანაწილებაა. 32 ქვეყანა კალათებიდან ჯგუფებში გადაინაცვლებს.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# საქართველო იძინებს



ქართულად აბურდულ-სკანდალური ჩემპიონატი მარტამდე დაგვემშვიდობა, ჩვენ კი სამახსოვროდ გუშინწინდელი „მერან" – „დინამოს" ეს ფოტო დავიტოვეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ცხვარი ცხვარი არ არის

## ქინქლაძემ ტოდს ადვოკატი მიუყვანა



გიორგი ქინქლაძე

**ხუთი** პრემიერლიგური მატჩია, რაც გიორგი ქინქლაძეს „დერბი ქაუნთის“ მაისურის მორგება არ ღირსებია, მეტიც, ჩვენებური არც გუნდის განაცხადში მოხვედრილა. ეს მას მერე, რაც „ცხვრების“ მენეჯერობა გადამდგარი ჯიმ სმიტის შემდეგ კოლინ ტოდს დაეკისრა.

„დერბი ქაუნთის“ ქართველმა სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად არ ითაკილა, და, ორი მატჩიც ითამაშა ინგლისის რეზერვისტთა ლიგაში. ახლახანს კი გიორგი ქინქლაძემ დახმარებისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ იურისტს დანიელ იზას მიმართა. ვექილი თავის კლიენტთან ერთად კოლინ ტოდსაც კი შეხვდა. იურისტი აზრი ასეთია: „გიორგის ძალიან უნდა „დერბისთვის“ ითამაშოს და ეს ახლა ისე სურს, როგორც არასდროს. მას სჯერა, რომ სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის და გასავარდნი ზონიდან ამოქაჩოს ის.“

კომენტარზე უარი არც კოლინ ტოდს უთქვამს: „ქინქლაძესთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. მე მას ვუთხარი, როცა ვითარება მოიტანს, იძულებული იქნები ჩაეჭიდო მას და აჩვენო, თუ რისი გაკეთება შეგიძლია-მეთქი. არ ვიცი, ასეთი სიტუაცია როდის იქნება, მაგრამ მიმდინარე სეზონის პირველ მატჩებში ქინქლაძეს თავი არაფრით გამოუჩენია.“

აი, ამგვარადაა საქმე, თუმც შესაძლოა, სიტუაცია დღესვე შემობრუნდეს „ცხვრების“ ქართველისკენ. ქინქლაძის ამპლუის მოთამაშე კრეიგ ბარლი ისე დაშავდა, ერთი თვე ვერ ითამაშებს, გიორგი კი დღევანდელი „დერბი“ — „ლივერპულის“ პრემიერლიგური მატჩისთვის კოლინ ტოდმა განაცხადში შეიყვანა.

**დავით თაგართქილაძე**





ბადრი ქობალაძის ფოტოები

შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი

# რა უხარია ზურაბ ხიზანიშვილს?

## შოთა არველაძე: ხიზანიშვილი ღირსეულია, ქეცბაია პრობლემატური

**შოტლანდიურ** პრემიერლიგაში ქართველთა დაპირისპირების დღეც დადგა გიორგი ნემსაძის, თემურ ქეცბაიას და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი“ შოთა არველაძის „რეინჯერს“ უმასპინძლებს. გეხსომებათ, დანდელებს ტრავმის გამო ჩვენი ეროვნული ნაკრების კაპიტანი გამოაკლდათ და ნაოპერაციები ნემსაძე, ცხადია, ვერც დღეს ითამაშებს. ამ თავისებურ ქართულ „დერბიზე“ ორივე გუნდის ჩვენებურებს დავეკითხეთ.

***ზურაბ ხიზანიშვილი***

— კარგი თამაში უნდა გამოდგეს, სხვანაირად არც გამოვა. აქეთ მე და ქეცბაია ვიქნებით, იქით შოთა — ეს მართლაც საინტერესოა.

**— ბოლო დროს რა პოზიციაზე გიწევს თამაში?**

— ცენტრალურ მცველად. „რეინჯერსი“ ალბათ ისევ სამი ფორვარდით ითამაშებს, ორი ინსაიდით და ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით და მეც სწორედ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მომიწევს თამაში.

**— ასეთი „რეინჯერსში“ ტორე ანდრე ფლოა, მაგრამ შოთასთან ან კანიჯასთანაც ხომ მოგიწევს ორთაბრძოლებში ჩართვა.**

— რა თქმა უნდა, ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ასეთი ფორვარდების წინააღმდეგ ვითამაშებ — კარგად გამოჩნდება, თუ რა შემიძლია.

**— ამ მატჩში „დანდის“ შანსებს როგორ შეაფასებ?**

— „რეინჯერს“ უფრო მეტი შანსი კი აქვს, მაგრამ 50/50-ზე ვაფასებ...

**— საერთოდ, რა ამოცანას ისახავს „დანდი“ ამ სეზონში?**

— სეზონის წინ ივანო ბონეტიმ გვითხრა, მესამე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთო. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, მესამე ახლა „ლივინგსტონია“, რომელსაც ათი ქულით ჩამოვრჩებით. თუმც გამორიცხული არაფერია, წინ კიდევ ბევრი მატჩი გველის.

***შოთა არველაძე***

— საინტერესო მატჩი იქნება. „რეინჯერსისთვის“ ეს ადვილი თამაში არ უნდა იყოს. წინა ტურში პრინციპული მატჩი წავაგეთ „სელტიკთან“, რომელსაც ახლა ათი ქულით ჩამოვრჩებით. ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ფეხის დაცდენის უფლება არ გვაქვს. ყველანაირად ვეცდებით ქულები აღარ დავკარგოთ. რაც შეეხება ზურაბ ხიზანიშვილს, მან ღირსეულად წარმოაჩინა თავი „დანდიში“, ქეცბაია კი პრობლემებს აბა, როგორ არ შეუქმნის ჩვენს დაცვას.

**დავით თაგართქილაძე**

*ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ორასლარიანი ჯარიმა — ამგვარი მძიმე სასჯელი გამოუტანა სადისციპლინო კომიტეტმა ვიტელებს მირზა მერლანს და დავით დოლიძეს. ეს უკანასკნელი კი კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდიდან მოკვეთა და ტრანსფერზე დააყენა.*

*სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთელები „ვიტ ჯორჯია“ — „მერანის“ მატჩის მერე დასაჯა.*

*ყველაფერი ამჩატებას, ნერვების აყოლას მოჰყვა. მირზა მერლანს თანამსაჯის გადაწყვეტილება საეჭვო ეჩვენა. გვერდით ხაზთან მიირბინა და გოჩა ცირდავას აგინა. თანაგუნდელს დოლიძეც აჰყვა, ოღონდ მერლანისგან განსხვავებით, დოლიძე ძნელად დასაოკებელი შეიქნა.*

*...მერლანმა დაიწყო და დოლიძეც აჰყვა. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა. ისინი ხომ ბავშვობის ძმაკაცები არიან. ფეხბურთის თამაშიც ერთ გუნდში დაიწყეს, ერთი წელიწადი ამერიკაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, „სარბიელთან“ სალაპარაკოდაც ერთად მოვიდნენ. უფრო მეტ ინიციატივას მირზა იჩენდა, კითხვებს პირველი ის პასუხობდა, თუმც არც დავითი ყოფილა სიტყვაძუნწი.*

# დასჯილი და გაბუტული ბიჭები

## უზურთო სასიძო ცოლს ეძებს

— კარგად მახსოვს ის საღავო მომენტი. მერანელი კოშკაძე პირისპირ გამოვიდა, მეც შესახვედრად გავემართე, თუმც მანამდე თვალი ვკიდე დავითაშვილს, რომელიც მეკარის ბაქნის სიახლოვეს იდგა. კოშკაძემ პასი წინ გააკეთა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ის გოლი დღესაც თამაშგარედან გატანილი მგონია.

**— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ევროტურნირებზეც მოგისინჯავთ ძალა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც გითამაშიათ. ნუთუ თქვენთვის არავის უთქვამს, რომ მსაჯის გადაწყვეტილება უცვლელია და ფეხბურთელის პროტესტი საქმეს ვერ უშველის.**

— იმ მომენტში ვერ ვაცნობიერებდი რას ვაკეთებდი. დაძაბულობამ პიკს უწია და ემოციებმა დამიმორჩილა. ჩვენთან, შინ თუ სტუმრად, მსაჯები ერთნაირად სჯიან. „ვიტ ჯორჯიას“ არანაირი შეღავათი, სხვებს კი... „დინამოსთან“ მატჩი გავიხსენოთ, მასპინძლებმა ლამის კარში შემტენეს, მსაჯმა კი გოლი მაინც ჩათვალა. ყველაფერი ერთად დაგროვდა და მაშინ ამოხეთქა, როცა „მერანმა“ პრინციპულ მატჩში დაწინაურება შეძლო.

**— დავით, პირველი შემთხვევა როდია, როცა შენს თავშეუკავებულობაზე ვსაუბრობთ. ურიგო მოთამაშედ არ გიცნობენ, მაგრამ არცთუ იშვიათად მოედანზე აუტანელი ხდებით.**

— მერწმუნეთ, იმ მომენტს მე მირზაზე უკეთ ვხედავდი და ვთვლი, რომ აშკარა თამაშგარე იყო. ასეთ ვითარებაში ნერვები მღალატობს, მერე რომ დავმშვიდდები, ვნანობ კიდეც, მაგრამ... მე მთელი არსებით თამაშში ვარ ჩართული, რაც შემიძლია, მოედანზე ვდებ, თავს არ ვზოგავ და, ალბათ, მოჭარბებული ემოციებიც ამის ბრალია.

**— როგორ ფიქრობთ, სადისციპლინო კომიტეტმა სამართლიანად დაგსაჯათ?**

— მე კი, მაგრამ მირზას ამდენი არ ეკუთვნოდა. მან ხომ კარიერაში პირველი წითელი ბარათი მიიღო და ორ მატჩიანი დისკვალიფიკაციაც საკმარისი იქნებოდა.

**— ვერ დაგეთანხმებით, მირზა რომ თანამსაჯისკენ არ გაწეულიყო, იქნებ არც არაფერი მომხდარიყო და ის თამაშიც არ წაგეგოთ...**

— ჰო, კიდევ 20 წუთი გვრჩებოდა, არა?! იმ თამაშში ჩვენ განწირულები ვიყავით. რა უფლება მაქვს, სადისციპლინო კომიტეტს განაჩენი დავუწუნო. მე უფრო შინაურებზე მწყდება გული, თუმც სათქმელს პირადად მათ ვეტყვი.

**— კლუბის ხელმძღვანელებს ხომ არ ემდურით, როგორც თქვეს, გუნდმაც გვარიანად აგიწიათ ყურები.**

— ჩემი მეგობარი გუნდიდან დაითხოვეს. არა მგონია, ამას ყურების აწევა ერქვას. ჩვენ გულით გვეწადა მოგება ექვსეულში მოსახვედრად, „ვიტ ჯორჯიას“ ინტერესებისთვის ვიბრძოდით. ჩვენთვის ნებისმიერი შედეგი სულერით რომ ყოფილიყო, არც ემოციებს ავყვებოდით. მე მაინც მგონია, რომ დოლიძეს ძალიან მკაცრად მოექცნენ.

**— საერთო კრების შემდეგ ხელმძღვანელებთან არ გისაუბრიათ?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ კლუბის თავკაცებთან შეხვედრას ვაპირებთ. მირზას პრინციპში გასარკვევი გარკვეულიც აქვს. მეც ხომ უნდა ვიცოდე, რა გზას ვეწიო.

**— უკეთეს შემთხვევაში 22 მარტამდე უსაქმოდ ხართ. რა უნდა აკეთოთ ამ ხნის მანძილზე?**

— აბა, რა გითხრათ, 10 დეკემბრამდე „ვიტ ჯორჯია“ არდადეგებზეა. მერე ვარჯიშს დავიწყებთ. ახალი წელიწადიც კარს მოგვადგება. შევხვდებით უფულოდ — უხელფასოდ და უპრემიოდ. ჩვენ ხომ დასჯილები ვართ.

**— რამე თუ შეიცვლება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

— მირზა მერლანი ჯერ მზად არ არის ძირეული ცვლილებებისთვის.

დავით დოლიძემ იქნებ ძირეულად შეცვალოს თავისი ცხოვრება. ფეხბურთს მაინც არ მათამაშებენ და იქნებ ოჯახს მაინც მოვეკიდო.

**— ბევრ ვინმეზე და რამეზე ნაწყენ მირზა მერლანს და დავით დოლიძეს თანაგუნდელები წყალტუბოში ნამდვილად არ ელოდნენ.**

— ვერ მოვითმინეთ და საქომაგოდ წავედით. „ვიტ ჯორჯია“ ჩვენი მეორე ოჯახია, ჩვენი ლხინიც და ჭირიც. არ გვქონდა უფლება მეგობრები გასაჭირში არ გაგვემხნევებინა.

**გამუკა ძგანტალიანი**



ბადრი ქობალაძის ფოტო

მირზა მერლანი ვიტელთა კარს ოთხ მატჩში ვერ დაიცავს

საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი — პირველი ეტაპი

მეთვრამეტე ტური. ცხინვალი — ქობულეთი 2:1; თსუ — ლოკომოტივი 3 1:3; თორი — დინამო 2 3:2; მერანი 2 — ხობი 1:2; დილა — სამტრედია 7:0; ლაზიკა — მილანი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 18 | 13 | 2 | 3 | 44:9 | 41 |
| მილანი | 17 | 11 | 4 | 2 | 42:16 | 37 |
| თსუ | 17 | 11 | 2 | 4 | 30:12 | 35 |
| ქობულეთი | 18 | 10 | 4 | 4 | 23:14 | 34 |
| ცხინვალი | 18 | 10 | 2 | 6 | 38:25 | 32 |
| ლოკომოტივი 3 | 18 | 8 | 6 | 4 | 29:18 | 30 |
| დინამო 2 | 18 | 7 | 1 | 10 | 16:21 | 22 |
| ლაზიკა | 18 | 6 | 4 | 8 | 22:31 | 22 |
| ხობი | 18 | 3 | 7 | 8 | 16:30 | 16 |
| სამტრედია | 18 | 3 | 4 | 11 | 13:34 | 13 |
| მერანი 2 | 18 | 4 | 1 | 13 | 13:36 | 13 |
| თორი | 18 | 2 | 1 | 15 | 16:56 | 7 |

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. XV ტური

ალენი 3:1 ზაარბრიუკენი
ბოხუმი 1:1 ფიურტი
მაინცი 4:4 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XIX ტური

ბრაუნშვაიგი 0:0 ესენი

სამხრეთ რეგიონალლიგა. XX ტური

კიკერსი 1:1 ანსბახი

### ინგლისი

პირველი დივიზიონი. XXII ტური

ჯილინგემი 1:1 ბირმინგემი

მესამე დივიზიონი. XXI ტური

ჰარტლპული 1:1 როჩდეილი

### იტალია

სერია B. XV ტური

ტერნანა 0:2 სალერნიტანა

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი. XVI ტური

გრააფსხაპი 1:2 გრონინგენი

მეორე დივიზიონი. XVI ტური

ეინდჰოვენი 3:1 ოსი
ექსელსიორი 3:0 ზვოლე
ჰერაკლესი 0:4 როზენდალი
მაასტრიხტი 0:1 ვეენდამი
ვენლო 1:2 ჰაარლემი
დორდრეხტი 2:2 ჰელმონდი

### ჩეხეთი

XVI ტური

დრნოვიცე 2:2 სლავია
სპარტა 4:0 ბლშანი

### თურქეთი

XIV ტური

გალათასარაი 4:1 ისთანბული

### პორტუგალია

I ლიგა. XIII ტური

პორტუ 2:0 ფარენსე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 18 ტური

# ლოკომოტივმა ლოკომოტივს შეუტია, კახა ცხადაძემ ფეხბურთელებს

**კახა შალამბერიძე**

— „სიონს" ჩვენთვის საერთოდ არ შეუტევია. ბოლნისელები არც აპირებდნენ ამას. ჩვენ თავადვე ვუტევდით საკუთარ კარს. — იტყვის მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძე.

რკინიგზელთა თავკაცი საკმაოდ შეჩქვიფებული გვეჩვენა. ეტყობოდა, ძალიან განიცდიდა, თუმც მისი სიტყვების სამართლიანობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. ეს არ ჰგავდა ცხელ გულზე დაუფიქრებლად ნათქვამს...

რკინიგზელებს მოწინააღმდეგედ პირველ წრეში 5:0 დაჩაგრული ბოლნისის „სიონი" ჰყავდათ. „ლოკომოტივის" იოლ გამარჯვებაში ბევრს არც ემჯერად ეპარებოდა ეჭვი, თუმც...

მასპინძელთათვის ყველაფერი კარგად დაიწყო. თბილისელებს უკვე მეათე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ანჩაბაძის კარგი პასი გოგიჩაიშვილმა ვერ გამოიყენა. „სიონი" მოედნის თითოეული გოჯისთვის თავგანწირული იბრძოდა. ბოლნისელებმა რამდენიმე წუთში გოლითაც გაიხარეს. ეს მე-16 წუთზე მოხდა. თითქოს საფრთხე არსაიდან ჩანდა, მაგრამ სალუქვაძე სრულიად უწყინარ სიტუაციაში უხეშად შეცდა, მინაშვილს ბევრი არც უფიქრია და ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ისიანს დაუგორა. შალვამ ბურთი გაისწორა და ლომაიას შორეულ მაღალ კუთხეში დაურტყა — 0:1. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა.

სალუქვაძემ შეცდომა მერეც მრავლად დაუშვა და 34-ე წუთზე რკინიგზელთა თავკაცმა იგი შეცვალა კიდეც.

გაშვებული გოლის შემდეგ „ლოკომოტივმა" შეტევა სცადა, თუმც ბოლნისელები თავგანწირვით იცავდნენ თავს. მათ დაცვით ჯებირებს კი მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს.

აქვე ვთქვათ, რომ „ლოკომოტივი" გუშინ საკუთარ თავს არ ჰგავდა. ფეხბურთელები უნიათოდ ირჯებოდნენ და მთელი ენერგია მსაჯებთან კამათს შეალიეს. ამას არც სტუმრები ერიდებოდნენ, ამიტომაც იყო, არბიტრმა ავთანდილ ორდინიძემ ხუთი ფეხბურთელი რომ გააყვითლა და ორსაც წითელი აუფრიალა.

ტაიმის ბოლოს „სიონს" მეორე ბურთის გატანაც შეეძლო. ისიანმა იოლად აუარა გვერდი ანჩაბაძესა და ბალაშვილს, ლომაიასთან პირისპირ შეყრილმა დაარტყა და „ლოკომოტივი" აშკარა გოლისაგან მეკარემ იხსნა.

მეორე ნახევარში კახა ცხადაძემ ალეკო კაიდარაშვილი ახალგაზრდა ირაკლი სირბილაძით შეცვალა, მოგვიანებით მას დავით გოდერძიშვილიც შეაშველა, თუმც ამით შეხვედრის მიწურულს გატანილ პრესტიჟის გოლს გამორჩა.

ერთ დროს „ლოკომოტივის", ახლა კი „სიონის" თავკაცმა თემურ მახარაძემ კი მეორე ტაიმში დაცვა გაამაგრა და გუნდს სწრაფი კონტრშეტევების განხორციელება დაავალა. მისმა ჩანაფიქრმა გაამართლა. რკინიგზელები მეტოქის კარს მიაწყდნენ და ზურგი მოიშიშვლეს. ეს კარგად გამოიყენეს სტუმრებმა და 55-ე წუთზე მეორე გოლით დასაჯეს „ლოკომოტივი". კახა დაუშვილმა ბურთი მოიხელთა და მასპინძელთა საჯარიმოსთან მიახლოებულმა მეკარის ბაქანზე ეულად მდგომ მამუკა მინაშვილს თავზე დაასვა — 0:2.

ამ ეპიზოდიდან სამიოდ წუთიც არ იყო გასული, ქორიძემ და ისიანმა ერთმანეთზე რომ გაიწიეს, ამას მალე ხელჩართული ჩხუბიც მოჰყვა. მოქიშპენი მალე გააშველეს. ორდინიძეს კი ბევრი არც უფიქრია და ორივეს წითელი აუფრიალა. ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი მერეც მოხდა. 69-ე წუთზე ახლა უკვე ანჩაბაძე და დაუშვილი შელაპარაკდნენ, თუმც ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. არბიტრმა გაჭირვებით შეძლო ფეხბურთელების დაშოშმინება.

თამაშის განახლებისთანავე „ლოკომოტივს" კვლავ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ გოგიჩაიშვილს თავში საცემად გაუხდა საქმე. ორი გოლით დაწინაურებული „სიონი" მეტოქის ნახევრისკენ საერთოდ არ იყურებოდა. სტუმართა მთავარი საზრუნავი საკუთარი კარის მშრალად შენახვა იყო, თუმც ეს მაინც ვერ მოახერხეს. 79-ე წუთზე გოდერძიშვილი-ონიანი-სირბილაძის სამსვლიანი „თავური კომბინაცია" ამ უკანასკნელმა თავითვე ვოლკოვის კარის ალებით დააგვირგვინა.

ამ გოლმა რკინიგზელები ოდნავ გამოაფხიზლა და მათ ანგარიშის გათანაბრებაზე დაიწყეს ფიქრი. ეს შეძლო კიდეც დავით გოდერძიშვილმა 84-ე წუთზე, თუმც გვერდითმა გოჩა ცირდავამ სამართლიანი თამაშგარე დააფიქსირა.

შეხვედრის ბოლომდე „ლოკომოტივის" მიერ განხორციელებულმა ქაოსურმა შეტევებმა კი ნაყოფი ვერ გამოიღო და „სიონმა" დამსახურებული სამი ქულა წაიღო შინ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მხოლოდ **კახა ცხადაძე** გამოცხადდა: რა უნდა ვთქვა. ლაპარაკი ძალიან მიჭირს. დღევანდელი მარცხი ჯერ კიდევ არ მჯერა. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა დროზე ადრე დაიგულეს თავი შვებულებაში. უფლება რომ მქონოდა, თერთმეტივე მოთამაშეს დაუფიქრებლად შევცვლიდი. გოლებისას სასაცილო შეცდომები დავუშვით. სალუქვაძემ ძალიან სუსტად ითამაშა. მარცხის ძირითადი მიზეზი ალბათ ზედმეტი თავდაჯერება იყო. უკვე ვთქვი, რომ მსაჯობაზე არასოდეს ვილაპარაკებ, თუმც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ორდინიძე თამაშს ვერ აკონტროლებდა.

რაც შეეხება ქორიძის საქციელს, როცა ადამიანი საქმეს ვერ აკეთებს, ჩხუბზე გადადის. ქორიძემაც ვერ ითამაშა და... ის საკადრისად დაისჯება.



ბოლნისელი ზვიად პაპიძე ბურთს მკერდით გადაეფარა

თბილისი. 30 ნოემბერი. 15.00 საათი. ლოკომოტივი. 150 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:2 სიონი

0:1 ისიანი (16), 0:2 მინაშვილი (55), 1:2 სირბილაძე (79)

ლოკომოტივი: 1 ლომაია; 4 სალუქვაძე, 23 ზ. ლაცაბიძე; 2 ბალაშვილი, 25 ქორიძე, 8 ჭიჭველაშვილი, 20 ონიანი; 26 ანჩაბაძე; 9 გოგიჩაიშვილი, 10 კაიდარაშვილი, 16 დათვაძე

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

სიონი: 1 ვოლკოვი; 7 მინდიაშვილი, 4 პაპიძე, 9 სიდამონიძე, 11 მოსეშვილი; 10 ისიანი, 5 ბარნოვი, 13 სვანიძე, 14 დაუშვილი; 6 ამბიძე; 15 მინაშვილი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

**შეცვლა:** სალუქვაძე — 15. მორჩილაძე (34), კაიდარაშვილი — 11. სირბილაძე (46), დაუშვილი — 8. თარგამაძე (75), დათვაძე — 13. დ. გოდერძიშვილი (75), მინაშვილი — 2. კ. გოდერძიშვილი (82), მოსეშვილი — 3. შაკიაშვილი (87)

**გაფრთხილება:** პაპიძე (24), კაიდარაშვილი (28), ანჩაბაძე (51), სვანიძე (69), სიდამონიძე (83)

**გაძევება:** ისიანი (58), ქორიძე (58)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 22 |
| 2 | კუთხური | 1 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 9 | თამაშგარე | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 44:11 | 44 |
| ლოკომოტივი | 18 | 12 | 3 | 3 | 33:10 | 39 |
| მერანი | 18 | 10 | 2 | 6 | 32:24 | 32 |
| ბათუმი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:15 | 31 |
| კოლხეთი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:26 | 30 |
| დინამო | 18 | 8 | 4 | 6 | 29:18 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 6 | 5 | 27:23 | 27 |
| სიონი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:24 | 22 |
| გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:30 | 15 |
| მეტალურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:34 | 12 |
| სამგურალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14:36 | 10 |
| გორდა | 18 | 2 | 4 | 12 | 15:35 | 10 |

# დინამო შვებულებაში, ნოდია მანჩესტერში?

**საქართველოს** მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში სტუმრად „მერანთან" 0:1 დამარცხების შემდეგ „დინამოს" მწვრთნელ გივი ნოდიას კლუბიდან შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ, თუმც...

— „მერანთან" მატჩის შემდეგ ფეხბურთელები ორშაბათამდე გავათავისუფლეთ. ორშაბათს კი დილმის ბაზაზე შევიკრიბებით და ბიჭებს შვებულებაში გავუშვებთ.

შეკრებაზე იანვრის შუა რიცხვებიდან გადავალთ. კერძოდ, 16-30 იანვარს კვიპროსში გავემგზავრებით, 2-22 თებერვალს კი იტალიას მივაშურებთ და მზადებას იქ გავაგრძელებთ. აპენინებზე ვარჯიშის გარდა ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. ამ ტურნირში შარშან, თუ გახსოვთ, „ვიტ ჯორჯიამ" ითამაშა — გვითხრა გუშინ „დინამოს" თავკაცმა გივი ნოდიამ.

გეტყვით იმასაც, რომ „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა და გივი ნოდია სამუშაო ვიზიტით ინგლისურ მანჩესტერში აპირებდნენ გამგზავრებას. ამის შესახებ გივი ნოდიამ გვითხრა, ორშაბათს გადაწყდება ჩვენი მანჩესტერში წასვლა-არწასვლა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნებაო.

**კახა შალამბერიძე**



გივი ნოდია

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# გავხადოთ საეჭვო შეჭვეღი!

# ფედერაცია სახალხო მოძრაობას იწყებს

**მეცამეტე** ეროვნულის მეცამეტე ტური ნავსიანი გამოდგა ქუთაისის „ტორპედოსთვის". რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები პირველად დამარცხდნენ. მათ ზეექვსეულისთვის მებრძოლმა ფოთის „კოლხეთმა" მოუგო. ამ მატჩს მერე დიდი ხმაური მოჰყვა. საქმე ის იყო, რომ შეხვედრაზე დამსწრე გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა გუნდები ფეირ პლეის პრინციპების დარღვევაში ამხილეს და „ტორპედო" მეტოქისთვის სამი ქულის დათმობაში დაადანაშაულეს. მართალია, ამ აზრს ორივე კლუბის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ეჭვის საფუძველი აშკარად არსებობს...

მას შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, თუმც ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. ფედერაციასაც პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას საქართველოში არყოფნის გამო გადაწყვეტილების გამოტანა დღემდე დაუგვიანდა. თუმცა როგორც გაირკვა, მერაბ ჟორდანია თბილისში ორშაბათს დაბრუნდება. 20 დეკემბერს კი აღმასკომი შეიკრიბება...

— აღმასკომის სხდომა უპრეცედენტო იქნება. ვიმსჯელებთ ამ ბოლო დროს მოედნებზე ფეირ პლეის პრინციპების გახშირებულ დარღვევებზე. აქ არ იგულისხმება მხოლოდ „კოლხეთი" — „ტორპედოს" გახმაურებული მატჩი. ჩვენ სხვა საეჭვო თამაშებზეც ვილაპარაკებთ.

სხდომის უპრეცედენტობა კი ისაა რომ მოვიწვევთ ყველა კლუბის პრეზიდენტებს, მსაჯებსა და ყველა სპორტული გამოცემის თითო-თითო ჟურნალისტს. ყველანი ერთობლივად ვიმსჯელებთ და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც გამოვიტანთ. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა სასურველ შედეგს გამოიღებს — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

**კახა შალამბერიძე**

# კორეა. პუსანი. წილისყრისწინა ამბები

# აქ პარლამენტი არ არის!

## ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონს იმუნიტეტი მოუხსნა

## კორეაში ქალიშვილები არ არიან

*დღეს, ჩვენი დროით 13 საათზე, სამხრეთ კორეის საპორტო ქალაქ პუსანში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის ცერემონიალი დაიწყება. კალათებიდან ბურთულების ამოღებას 55 წუთით გვიან დაიწყებენ. სამის ნახევრისთვის კი ყველაფერი დასრულებული იქნება. ქვემოთ წილისყრისწინა ამბებზე და განწყობილებებზე ვთქვათ.*



იოზეფ ბლატერმა ლენარტ იუჰანსონს ყური ათხოვა



პიერლუიჯი კოლინამ ახალ ბურთს ხელი შეაჩვია

*კენჭისყრაზე 32 ნაკრები რვა ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდება*
*A, B, C და D ჯგუფებს უმასპინძლებს სამხრეთ კორეა*
*E, F, G და H ჯგუფებს უმასპინძლებს იაპონია*
*ავტომატურად განთესილნი არიან: საფრანგეთი A ჯგუფში, სამხრეთ კორეა D ჯგუფში, იაპონია H ჯგუფში, თითოეული პირველ ნომრად*
*ჩინეთის ნაკრები ითამაშებს სამხრეთ კორეაში*
*საუდის არაბეთის ნაკრები ითამაშებს იაპონიაში*
*ერთ ჯგუფში ორ ევროპულ ნაკრებზე მეტი არ შეიძლება მოხვდეს*

| პირველი კალათა | მეორე კალათა | მესამე კალათა | მეოთხე კალათა |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა, გერმანია, იტალია, ესპანეთი, კორეა, იაპონია | ბელგია, ხორვატია, დანია, ინგლისი, ირლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, სლოვენია, შვედეთი, თურქეთი | ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ჩინეთი, საუდის არაბეთი | კამერუნი, ნიგერია, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი, კოსტა რიკა, მექსიკა, აშშ |

### ისტორიული გადაწყვეტილება: მსოფლიო უჩემპიონოდ

პუსანიდან გუშინ მოსულმა ამ ცნობამ თავისი მნიშვნელობით ყველა სხვა დაჩრდილა: ამიერიდან მსოფლიოს ჩემპიონი მომდევნო მუნდიალზე ავტომატურად ველარ მოხვდება. ესე იგი, კორეა-იაპონიის ტრიუმფატორს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ შესარჩევი ეტაპის გადალახვა მოუწევს.

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „აქამდე მოქმედ ჩემპიონს, რაკი კვალიფიკაციისგან განთავისუფლებული იყო, მხოლოდ ამხანაგური მატჩების გამართვა უხდებოდა, ასე კი, ოფიციალურ შეხვედრებშიც მიიღებს მონაწილეობას. ამასთანავე, ერთი ადგილიც გამოთავისუფლდება, რომელიც რომელიმე კონფედერაციას გადაეცემა. უცნაური ამაში არაფერია. ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონებიც ხომ გადიან მომდევნო შესარჩევ ეტაპს“.

აქამდე მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა მსოფლიოს პირველობამ მოქმედი ჩემპიონის გარეშე ჩაიარა. 1934 წელს ურუგვაი იტალიაში არ ჩავიდა.

### ყველაზე ზუსტი მსოფლიოში

შენიშნავდით, რომ ყოველ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალ გუნდებთან თუ ფეხბურთელებთან ერთად ახალი ბურთები ჩნდება ხოლმე. საქმეში ჩაუხედავი კაცი იტყვის, რომ ყველა ბურთი მრგვალია, ერთი ზომისა და წონისაა, რის გამოც ახალი ბურთის გამოგონებას ისეთივე ფასი აქვს, როგორიც თავიდან ველოსიპედისა.

აშკარაა, რომ ამის მთქმელს ბურთისთვის ფეხი არასდროს დაურტყამს, თორემ ეცოდინებოდა, რომ ერთსა და იმავე წერტილში, ერთი და იმავე ძალით ამორტყმისას სხვადასხვა ბურთი, სხვადასხვა მიმართულებითა და სისწრაფით მიფრინავს.

ახლა კი ვთქვათ, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, ისევე როგორც ოთხი წლის წინანდელს, „ადიდასის“ ბურთი მოემსახურება, თუმც ამ ოთხ წელიწადში ტექნოლოგია დაიხვეწა და ამბობენ, ასეთი სიზუსტით და სისწრაფით მსოფლიოში ჯერ არც ერთ ბურთს არ უფრენიაო. ადიდასელები გვამცნობენ, საიდუმლო, ზედაპირის შეკერვისა და დამუშავების განსაკუთრებულ წესშიაო. ნუ იტყვით და, თურმე, ბურთი გაზით სავსე მილიონობით ბუშტულით ყოფილა დაბერილი. დევიდ ბექჰემმა, ვისაც ახალი ბურთის გამოცდის პატივი ხვდა წილად, თქვა, ამისთანა ჯერ არაფერი მინახავსო. არადა, ბექემს რომ ბურთები უნახავს...

### ამნისტია: ყვითელი სუფთა ფერია

ფიფამ ამ კვირაში გამოაცხადა, რომ ყვითელი ბარათი, რომელიც ფეხბურთელმა შესარჩევ ეტაპზე მიიღო, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალას დაკარგავს, ანუ გაუქმდება. ეს ცნობა, ცხადია, გულზე მალამოდ დაედო ათობით ფეხბურთელს, რომელთაც კორეა-იაპონიაში გამგზავრება გაყვითლების ფასად დაუჯდათ. ფიფას გენერალურ მდივან მიშელ-ზენ რუფინენის თქმით, ამნისტია იმათაც შეეხო, ვისაც ჯამში ორი გაფრთხილება დაუგროვდა.

სამაგიეროდ, ვერაფრით ვანუგეშებთ გაძევებულ ფეხბურთელებს, ფიფამ ისინი არ დაინდო. აბა, რა ეგონათ — მეტოქეებს დასაინვალიდებლად იმეტებდნენ და თავისუფლება უნდათ?

### ძლიერები ჩვენთან გამოუშვით

„ტოიოტას“ თასზე მატჩისთვის აზიას გამგზავრებულმა ფრანც ბეკენბაუერმა შინ დაბრუნება არ იჩქარა, ტოკიოდან პუსანში გადაინაცვლა და წილისყრას დაესწრება. მოგეხსენებათ, „კაიზერ ფრანცის“ გარეშე მსგავსი ღონისძიებების ჩატარება ყოვლად წარმოუდგენელია. ისიც მოგეხსენებათ, რომ ბეკენბაუერი ენაწყლიანი კაცია და ამჯერად ეს თქვა:

„ფიოლერს რას ვუსურვებ? გგონიათ, იოლ ჯგუფში მოხვედრას? არავითარ შემთხვევაში. გარწმუნებთ, თუ კარგი შედეგის მიღწევა გვსურს, თავიდანვე ძლიერ მეტოქეებთან თამაში უნდა გვერჩივნოს. ცხადია, ჩემპიონობის მსურველი ძლიერს მაინც ვერ ასცდება, ამიტომ ჯობს, პირველი ეტაპიდან მობილიზებულნი ვიყოთ. რუდის თავიდან ისეთ მეტოქეებს ვუსურვებ, როგორებიც 1990 წლის იუგოსლავია და კოლუმბია იყო“.

### ეს ქალები ის ქალები არ გეგონოთ

წარმოიდგინოთ: კორეულ ქალაქში ლუდით გაჭყეპილი, დაბღვერილი, მუშტებშეკრული, თვალებბრიალა ინგლისელ ფანთა მოზრდილი ჯგუფი დახეტიალობს საკბილოს (გერმანელების, თურქებისა...) ძიებაში. ამ დროს მათთან მიდის რამდენიმე კორეელი ქალიშვილი და სთხოვს, დაიშალონ. საფიქრებელია, რომ პასუხად ინგლისელი ფანები ეცდებიან, ეს ქალიშვილები ქალიშვილები აღარ იყვნენ.

პატივცემულო ფანებო, გირჩევთ, განზრახვაზე ხელი აიღოთ, რაკი ისინი (ქალიშვილები) პოლიციაში მუშაობენ და მამაკაცი კოლეგებისგან განსხვავებით, სრულყოფილად ფლობენ აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებათა სახეობებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის კორეელმა პრესმდივანმა თქვა: „ჩვენს პოლიციაში ქალების სპეცრაზმები გვყავს, რომლებსაც ხულიგნებთან ბრძოლა დაევალებათ“.

თუმცა ორგანიზატორებს ხულიგან ფანებზე მეტად ტერორისტული აქტებისა ეშინიათ. უსაფრთხოების ზომები უნიკალური იქნება და ადგილობრივ სპეცსამსახურებს ამერიკელი და ევროპელი კოლეგები დაეხმარებიან. სამზადისში არიან ავიადისპეტჩერებიც. ჩემპიონატის დროს სტადიონების თავზე თვითმფრინავების გადაფრენა აიკრძალა.

რაც შეეხება დღევანდელ წილისყრას, მონაწილეთა უსაფრთხოებას ათასი ძალლიანი პოლიციელი დაიცავს.

### ბექემი არგენტინაზე ოცნებობს

სრულიად არ მადარდებს, მეორე კალათაში რომ ვართ განთესილნიო, თქვა ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა, არც ის მაწუხებს, გერმანია ჩვენზე წინ რომ არისო. გავიხსენოთ, რომ შესარჩევ ეტაპზე ინგლისმა გერმანიას 5:1 მოუგო.

მაგრამ როგორ იქნება, შვედს საერთოდ არაფერი ადარდებდეს? „ვისურვებდი, რომ არგენტინასთან, იტალიასთან და საფრანგეთთან არ მოვხვდეთ. ეს ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნება“ — აღნიშნა ერიკსონმა.

ეს არის საკითხი, რომელშიც მწვრთნელისა და ნაკრების კაპიტნის შეხედულები ერთმანეთს არ ემთხვევა. საქმე ისაა, რომ დევიდ ბექემი სწორედ რომ არგენტინასთან გაჯიბრებაზე ოცნებობს. „არგენტინელებთან ძველი ანგარიში მაქვს გასასწორებელი — ამბობს ბექემი — ის, რომ მათ ძლიერი გუნდი ჰყავთ, სულაც არ მაშინებს. გერმანიის განადგურება თუ შევძელით, ესენი რატომ ვერ უნდა დავამარცხოთ? არც საფრანგეთისა და იტალიის მეშინია“.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ბექემი დიეგო სიმეონეს ჩაწიხლვისთვის გააგდეს. ინგლისმა ის მატჩი წააგო, რაც მანჩესტერელს დაბრალდა და დღემდე უხსენებენ.

### პლატინი უკვე ფინალშია

მიშელ პლატინის ოცნება ბექემისას ჩამოჰგავს — ისიც არგენტინაზე ოცნებობს, ოღონდ მსგავსება აქ მთავრდება. „საფრანგეთი — არგენტინა იდეალური ფინალი იქნება — თქვა წარსულში ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა, რომლის კოლექციას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გარდა ყველა ჯილდო ამშვენებს — ვინ მოიგებს? უამრავი კარგი გუნდია: ესპანეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია, არგენტინა ხომ თავისთავად, მაგრამ ვფიქრობ, საფრანგეთი ყველა მათგანს სჯობს და ვერ წარმომიდგენია, რომელმა უნდა შეგვიქმნას პრობლემა“.

პლატინი ფრანგული ფეხბურთის გუშინდელი დღეა, აი, ნაკრების ახლანდელი ვარსკვლავი ტიერი ანრი კი უფრო ფრთხილობს და ინგლისის მიერ გერმანიის შერცხვენა თავიდან არ ამოსდის. იმ გამარჯვების შემდეგ ინგლისმა საკუთარი ძალისა ირწმუნა და ყველასთვის სახიფათო შეიქმნაო, ამბობს ანრი. „შეუძლია თუ არა ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება? ვფიქრობ, შეუძლია“ — ესეც ანრის სიტყვებია.

### და ბრაზილია?

აქამდე ბრაზილიის ნაკრები არ გვიხსენებია. მიზეზი უბრალოა — როცა ფავორიტებზე ლაპარაკობენ, უპირველესად არგენტინას, საფრანგეთსა და ინგლისს ახსენებენ და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები თითო-ოროლას თუ ახსენდება. თავად ლუიშ ფელიპე სკოლარიმაც თქვა, ვამჯობინებ, ფავორიტად არ მოგვიხსენიონო, თუმცა... ხომ ცნობილია, რომ ყველაზე ცუდი ბრაზილიაც ანგარიშგასაწევი ძალაა, მით უმეტეს, რივალდო და რობერტო კარლოსი ჰყავს.

აი, პელეს კი, არც რივალდოსა და არც ბრაზილიის დიდი იმედი არა აქვს, ამბობს, მაიკლ ოუენს შეუძლია, ჩემპიონატის გმირი გახდეს და ინგლისს ტიტული მოაგებინოსო. „რაც შეეხება ბრაზილიას, სკოლარი დაცვით ფეხბურთს ათამაშებს, რაც ჩვენთვის უცხო და მიუღებელია. სანამ ნაღდ ბრაზილიურ ფეხბურთს არ დავუბრუნდებით, არაფერი გვეშველება“ — დაუმატა პელემ.

**გიორგი დარჯანია**



რუდი ფიოლერი



დევიდ ბექემი



სვენ გორან ერიკსონი



REUTERS პარიზიდან

პარიზელთა მწვრთნელი ლუის ფერნანდესი მსაჯს ისე უხიაგად მიეჭრა, რომ გაძევება დაიმსახურა

# ანელკას პარიზში ჩაეძინა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XVI ტური

**პსჟ 0:0 მარსელი**

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მორიგი ტური პარიზული მატჩით დასრულდა. დედაქალაქში ერთმანეთს ერთ დროს მქუხარე ორი ძირძველი მეტოქე, პსჟ და „მარსელის“ შეხვდნენ. მართალია, დღესდღეობით არც ერთი ბრწყინავს, მაგრამ მათი შეხვედრები დაძაბულობით ყოველთვის გამოირჩეოდა.

თამაშის მსვლელობისას გემრიელად წვიმდა, რამაც, ბუნებრივია, მატჩის მსვლელობაზეც იქონია გავლენა. მასპინძელთაგან ბრაზილიელი რონალდინიო გამოირჩეოდა და წვიმისგან გაუფერულებულ ფეხბურთს ხიბლი შემატა. პირველ ტაიმშიც ერთადერთი საგოლე მომენტი სტუმართა კართან მის მიერ ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა — მცველებისგან ასხლეტილი სველი ბურთი ხარიხამ უკუაგდო. მეორე ნახევარში უკვე „მარსელმა“ იყოჩაღა და მასპინძელთა დაცვას ხშირად აწიოკებდა. სტუმართაგან ფრანკ ლებეფი და იბრაგიმ ბაკაკაიოკო გამოირჩეოდნენ. პსჟ-ც არ ყოფილა გულხელდაკრეფილი. რამდენჯერმე პარიზელებსაც მიეცათ გოლის გატანის შანსი. შეცვლაზე შესულმა ასევე ბრაზილიელმა ალექსმა რონალდინიოს კარგი პასი ვერ შეირგო. მეკარესთან პირისპირ გასულს ვედრან რუნიემ აჯობა. 86-ე წუთზე მან მაინც მოახერხა გოლის გატანა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. ამან მასპინძელი ფეხბურთელების პროტესტი გამოიწვია, მათ მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმაც აუბა მხარი. შედეგად მთავარმა მსაჯმა ფერნანდესი წითელი ბარათით დაასაჩუქრა და მან მატჩის დარჩენილი დრო ტრიბუნაზე გაატარა.

ბერნან ტაპისგან ნდობით აღჭურვილი ტომისლავ ივიჩისთვის ეს ზედიზედ მეოთხე წაუგებელი თამაშია და, ეტყობა, მისი გუნდი გონს მოდის.

ისე როგორ იქნებოდა, მასპინძელ გულშემატკივრებს პატარა არეულობა მაინც არ მოეწყოთ. ტრიბუნიდან ნასროლი ერთი მაშხალა კინაღამ რონალდინიოს მოხვდა. პოლიციამ ხუთი მოხულიგნო ელემენტი დააკავა, 24 დაზარალებული მაყურებლიდან კი 7 ჰოსპიტალში გააქანეს.

ამ შეხვედრაში თამაშს ისევ ვერ ეღირსა ჭირვეული, მოურჯულებელი ნიკოლა ანელკა. როგორც პსჟ-ს პრეზიდენტი ლორან პერპესი აცხადებს, ანელკა უბრალოდ ზანტი კაცია. პრეზიდენტმა ბრძანა, ეს ბიჭი ჯერ კიდევ შარშან აპირებდა პარიზის დატოვებას, თუმცა მას შემდეგ, რაც იტალიურ კლუბებთან სასურველი ვარიანტი ვერ გამონახა, კვლავ პარიზში დარჩაო.

ლუის ფერნანდესის თქმით, მათ შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა, ფეხბურთელს ფეხის თითის ტრავმა აწუხებს და ძირითადშიც ამიტომ ვერ თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 16 | 10 | 5 | 1 | 30:12 | 35 |
| ლიონი | 16 | 9 | 3 | 4 | 31:16 | 30 |
| ლილი | 16 | 8 | 6 | 2 | 20:13 | 30 |
| ოსერი | 16 | 8 | 5 | 3 | 24:18 | 29 |
| ბორდო | 16 | 7 | 6 | 3 | 15:9 | 27 |
| ტრუა | 16 | 7 | 4 | 5 | 21:18 | 25 |
| პსჟ | 16 | 5 | 9 | 2 | 18:13 | 24 |
| სოშო | 16 | 6 | 5 | 5 | 24:20 | 23 |
| მონპელიე | 16 | 4 | 7 | 5 | 15:14 | 19 |
| მარსელი | 16 | 4 | 7 | 5 | 13:13 | 19 |
| რენი | 16 | 5 | 3 | 8 | 16:25 | 18 |
| მონაკო | 16 | 4 | 5 | 7 | 16:18 | 17 |
| მეცი | 16 | 5 | 2 | 9 | 9:16 | 17 |
| გენგამი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:26 | 17 |
| ბასტია | 16 | 5 | 1 | 10 | 15:27 | 16 |
| სედანი | 16 | 3 | 6 | 7 | 18:20 | 15 |
| ლორიანი | 16 | 4 | 3 | 9 | 23:33 | 15 |
| ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:23 | 13 |

## იტალია

### თასის მერვედფინალი საპასუხო მატჩები

**ატალანტა 0:0 ბოლონია (2:2)**

**ინტერი 2:2 უდინეზე (1:2)**

1:0 ვენტოლა (11), 2:0 ძანეტი (18), 2:1 მუცი (42), 2:2 იორგენსენი (79)

# ინტერი გასკდა

## ბუშტივით ამხატებული მილანელები უდინეზეს წამოეგნენ



REUTERS მილანიდან

ინტერი — უდინეზე. ლუის ელგერა მილანელ ემრე ბელოზოღლუს (№33) ბურთს ეცილება

**მილანის** „ინტერი“ „უდინეზეს“ სათასო მატჩში შინ 2:0-ს უგებდა, თუმც მერე იმდენი „მოახერხა“, რომ ორი გოლი გაუშვა. თამაში ფრედ დასრულდა, ამ შედეგმა კი უდინელები აზეირა, რადგან როი ჰოჯსონის შეგირდებს პირველი მატჩი 2:1 ჰქონდათ მოგებული. მომდევნო ეტაპზე „უდინეზე“ გავიდა.

მასპინძლებმა დიდი შემართებით დაიწყეს თამაში, რამაც შედეგი მეათე წუთზე გამოიღო. ნიკოლა ვენტოლამ ძლიერად დაარტყა და ბურთი ლუიჯი ტურჩის კარის ბადეში გაეხვია. შვიდი წუთის შემდეგ უდინელთა კარის დარაჯს კიდევ ერთხელ მოუხდა თავის კარიდან ბურთის გამოტანა, რადგან ხავიერ ძანეტის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა. „ინტერი“ ორბურთიანი სხვაობით იგებდა და ჩათვალა, რომ თავი უკვე ქუდში ჰქონდა. ამ განწყობამ კი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რობერტო მუციმ პირველი ტაიმის მიწურულს ერთი ბურთი გაიტანა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. მუციმ დაახლოებით 25 მეტრიდან დაურტყა მილანელთა სათადარიგო მეკარე ალბერტო ფონტანას, რომელიც ფრანჩესკო ტოლდოს ნაცვლად იცავდა კარს.

69-ე წუთზე მოჰამედ კალონის ნაცვლად რონალდო შევიდა მინდორზე, თუმც ხეირიანად ვერც კი მოასწრო ბურთის გაგორება, რომ „უდინეზემ“ ანგარიში გაათანაბრა. მარტინ იორგენსენმა უდინელთა მეოთხედფინალში გასვლისა გაიტანა. როი ჰოჯსონის გუნდს თასზე მომავალ მეტოქედ „პარმა“ ეყოლება.

კიდევ ასეთი წყვილებია: „მილანი“ — „ლაციო“ და „რომა“ — „ბრეშა“. „ატალანტა“ კი „იუვენტუსსა“ და „სამპდორიას“ შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. ტურინელებმა პირველი მატჩი გენუაში 3:1 მოიგეს და 12 დეკემბერს შინ, „ინტერივით“, ალბათ, აღარ წაიტეხავენ ფეხს.

**ნიკა შუბლაძე**

## ინგლისი

### ლიგის თასი. მერვედფინალი

**ფულემი 1:2 ტოტენჰემი**

0:1 რებროვი (15), 1:1 პილეჯი (45), 1:2 დევისი (86)

**ტრავმირებული** ლეს ფერდინანდის არყოფნაში გლენ ჰოდლმა „ტოტენჰემის“ ძირითად შემადგენლობაში სერგეი რებროვის დაყენება გადაწყვიტა და არც შემცდარა. უნდა შევნიშნოთ, რომ უკრაინელი ფორვარდი ამ სეზონში მხოლოდ მესამედ გამოჩნდა სასტარტოში. რებროვმა მე-14 წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა. საერთო ჯამში კი იგი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს, რადგან გოლის გარდა ნაყოფიერად გაისარჯა.

„ტოტენჰემმა“ 2:1 მოიგო. „მ ამლების“ მეორე გოლი საიმონ დევისმა შეაგდო. გლენ ჰოდლის გუნდი კი მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც საშინაო თამაში ელის „ბოლტონთან“.

ბრიტანული მედია გასაკვირვებელია „ფულემის“ მწვრთნელმა ჟან ტიგანამ „ტოტენჰემთან“ თამაშში ძირითადის ექვსი ფეხბურთელი დაასვენა. ფრანგი მწვრთნელი ალბათ მიხვდა, პრემიერლიგაშიც და თასზეც რომ ვერ ეყოფოდა ძალა და პირველი არჩია.

რაც რებროვმა თავი გამოიჩინა, ვარაუდობენ, რომ იგი ამიერიდან უფრო ხშირად გამოჩნდება „ტოტენჰემის“ ძირითადში.

**ნიკა შუბლაძე**

### ფეხბურთის რუკიდან



**გერმანული** „ჰამბურგის“ ლეგიონერები — მარეკ ჰაინცი და მილან ფუკალი აცხადებენ, თითქოს ახალ მწვრთნელი, ავსტრიელი კურტ იარა მათ იმიტომ ჩაგრავს, რომ ჩეხები არიან. მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა ფუკალის ადგილზე სამოყვარულო გუნდიდან მოწვეულმა ფეხბურთელმა დაიწყო თამაში: „სანამ კლუბში გადმოვიდოდა, მითხრეს, ჩეხები არ უყვარსო. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე, დღეს კი უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ჩეხი, ტომაშ იუჟფალუში თამაშობს ძირითადში, თუმცა არ გამიკვირდება, რომ იარამ ისიც სათადარიგოთა სკამზე მოგვისვას“. — ამბობს 25 წლის ფუკალი. ოფიციალური ინფორმაციით, ჩეხების უთამაშებლობის მიზეზი უდისციპლინობა და არასათანადო ვარჯიშია, თუმც ეს მიზეზი ჩეხებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით და ამტკიცებენ, რომ უთამაშებლობის ერთადერთი მიზეზი მათი ეროვნებაა.

**ფრანგულმა პრესამ პსჟ — „ოლიმპიკის“ მატჩის წინ კლუბების ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები ჩამოთვალა. „ლე პარიზიენის“ ინფორმაციით, პსჟ-ში ასეთები ნიგერიელი ოკოჩა თვეში 1,1 მლნ. ფრანკი და ნიკოლა ანელკა (1 მლნ ფრანკი) არიან. მარსელის „ოლიმპიკში“ კი სპილოსძვლისპირელ ბაკაიოკოსა აქვს უმაღლესი ხელფასი (800 000 ფრანკი).**

**რუმინელ** გეორგ ჰაჯის თქმით, ნაკრების მწვრთნელობიდან წასვლის შემდეგ მისი მთავარი მიზანი რუმინულ ფეხბურთში კორუფციასთან ბრძოლაა. „ქვეყნიდან წასვლას არ ვაპირებ. აქ ვიქნები და მაფიას ყელში ძვლად გავეჩხირები“ — ამ ომახიან განცხადებას საფუძველიცა აქვს. რუმინეთის ჩემპიონატში ისე მოხშირდა ჩაწყობილი მატჩები, რომ ერთ-ერთი ბოლო ტურის შეხვედრაზე სულ 7 ბილეთი გაიყიდა. რუმინული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს კი „ნათლიმამას“ ეძახიან. ჰაჯი მომავალ ბრძოლაში პირადი კაპიტალის გამოყენებას აპირებს.

**იტალიური „იუვენტუსის“ ფრანგ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს იტალიის ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტმა ის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნა, ფორვარდმა „ლაციოსთან“ საკვირაო მატჩის შემდეგ რომ მიიღო. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში ტრეზეგემ ლაციოელ სიმონე ინძაგის სახეში თავი ჩაარტყა. მატჩის არბიტრმა კოლინამ ეს ვერ შენიშნა. ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ ტრეზეგეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია კი მიუსაჯეს, მაგრამ საბოლოოდ „იუვეს“ აპელაციამ თავისი გაიტანა და ფრანგიც სასჯელისაგან გაათავისუფლეს.**

**ბრიტანელი** ასტროფიზიკოსების ჯგუფმა ფეხბურთისათვის მოიცალა და დაადგინა, რომ თურმე ინგლისური ფეხბურთი სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მოსაწყენია. მეცნიერებმა მათემატიკურ მოდელზე (რომელიც შავი ხვრელების გამოსაკვლევად გამოიყენება) დაყრდნობით გამიკვლიეს 1970-2001 წლებში ინგლისში ნათამაშევი მატჩები და დაასკვნეს, რომ 10 გოლზე მეტი ინგლისში 10 000 მატჩში, ესე იგი 30 წელიწადში, ერთხელ გადის. ამავე დროს სხვა ქვეყნებში ასეთი შედეგი ყოველ 300 მატჩში მეორდება. ისე, საინტერესოა, რომელ ქვეყნებს გულისხმობენ.

**ინგლისური „ჩელსის“ მენეჯერ კოლინ ჰათჩისონის თქმით, კლაუდიო რანიერი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩება. იტალიელის პოზიციები ბოლო ხანებში ჩელსის არასტაბილურმა თამაშმა შეარყია. „ბლექბერნთან“ პრემიერლიგაში 0:0-ის შემდეგ ფანები უკვე მის წასვლას ითხოვდნენ. სიტუაცია ოდნავ გამოასწორა ლიგის თასზე „ლიდსის“ 2:0 ძლევამ. თუმცა პრესაში მაინც გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ რანიერის კლუბიდან წასვლა შესთავაზეს. „ჩელსის“ ფეხბურთელები, მათი მენეჯერის მსგავსად, რანიერის იცავენ. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მცველ ჯონ ტერის აზრით, გუნდში ნორმალური სიტუაციაა და არავითარ კრიზისს ადგილი არა აქვს. იმავეს იმეორებს „ლიდსთან“ ორი გოლის გამტანი ისლანდიელი გუდიონსონი და მეკარე კარლო კუდიჩინი: „ბლექბერნთან ფრე არაფერს ნიშნავს. ეს სულაც არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კლუბში კრიზისია“. „ჩელსი“ 20 ქულით მე-8 ადგილზე იმყოფება.**

**ნიგერიის** ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, ნიგერია-ეგვიპტის 15 დეკემბრის ამხანაგური მატჩი არ შედგება. ეგვიპტელები ვერ მოახერხებენ გუნდის შეკრებას, რადგან მათი „ალ აჰლი“ აფრიკის ჩემპიონთა თასზე ასპარეზობს. მეორე მიზეზი კი მუსულმანური დღესასწაული რამაზანია. ეგვიპტელი ფეხბურთელები მარხულობენ, ეს კი დამატებით დისკომფორტს შექმნის. ამ ნაკრებებს შორის მატჩი მაინც შედგება, ოღონდ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მალიში. შეხვედრა 19 იანვარსაა დაგეგმილი.

**იტალიურ „იუვენტსს“ 2003-2015 წლებში ამერიკული „ნაიკი“ შემოსავს. კონტრაქტის თანახმად, ამ ხნის განმავლობაში „ბებერი ქალბატონი“ 135 მლნ დოლარს ჩაიჯიბავს. ნაიკს უკვე გაუფორმებია მსგავსი კონტრაქტი „მანჩესტერ იუნაიტედთან“. იტალიელებსა და ამერიკელებს შორის ხელშეკრულება 20 დეკემბრამდე, ანუ „იუვეს“ აქციების ბირჟაზე გატანამდე შედგა. შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით „იუვენტუსს“ კონტრაქტი „ლოტოსთანაც“ აქვს.**

**ინგლისური** „ლიდსის“ ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკური შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსში“ აღმოჩნდეს. იტალიელები ფრანგისადმი ადრეც იჩენდნენ ინტერესს, ახლა კი, როდესაც „ლიდსში“ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები — სეტ ჯონსონი და რობი ფაულერი გადათიდნენ, დაკურის ტრანსფერის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

**უკრაინის „შახტარის“ და ნიგერიის ნაკრების ფორვარდი ჯულიოს აგაოვა მამა გახდა. ნიგერიელს ბიჭი შეეძინა. სხვათა შორის, ეს უკვე უკრაინაში მეორე შემთხვევაა. რამდენიმე თვის წინ „კარპატელი“ ედვარდ ანიამკე ქალიშვილის მამა გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში დედები ნიგერიელები არიან.**

**იტალიური** „ლაციოს“ იუგოსლაველი თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი კლუბში თავისი დღევანდელი მდგომარეობით უკმაყოფილოა და არ გამორიცხავს, რომ თავის ძველ გუნდს, ესპანურ „რეალ-სოსიედადს“ დაუბრუნდეს. იუგოსლაველის კონტრაქტი „ლაციალესთან“ 2005 წლამდეა, კოვაჩევიჩს, ცხადია, არ სურს მთელი ეს დრო სათადარიგოთა სკამზე გაატაროს. ფორვარდის გაყიდვაზე არც „ლაციო“ ამბობს უარს. რომაელებს „უდინეზეს“ და იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი რობერტო მუცი მოსურვებიათ. კოვაჩევიჩის სავარაუდო ტრანსფერი 9 მილიონი დოლარია.

**ესპანური „ესპანიოლი“ ამ სეზონში საკმაოდ სუსტად ასპარეზობს. კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, გუნდის სუსტი თამაშის მიზეზი არცთუ ძლიერი წინა ხაზია. ისე, სიმართლე რომ ითქვას, არც უკანა ხაზი ვარგა. „ესპანიოლის“ თავკაცების აზრით, „ბაიერნის“ პარაგვაელი თავდამსხმელი როკე სანტა კრუზი სწორედ ისაა, ვინც მათ სჭირდებათ. კატალონიელები მზად არიან, სანტა კრუზი არენდით წაიყვანონ, ყიდვას ალბათ ვერ შესწვდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ ჰიცფელდი არცთუ ხშირად ანდობს პარაგვაელს ადგილს ძირითადში, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, ადვილი შესაძლებელია, რომ ტრანსფერი განხორციელდეს. თუ ეს მოხდება, ტრანსფერის თანხა 800 მილიონ პესეტას შეადგენს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაატა კალია

## ვირები და სკალაში იმღერებენ

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| იუვენტუსი | - | პერუჯა |
| ხვალ | | |
| ატალანტა | - | ინტერი |
| ბოლონია | - | ტორინო |
| ფიორენტინა | - | პიაჩენცა |
| ლეჩე | - | ლაციო |
| მილანი | - | კიევო |
| რომა | - | ვენეცია |
| უდინეზე | - | პარმა |
| ვერონა | - | ბრეშა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 11 | 7 | 2 | 2 | 22:11 | 23 |
| ინტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 17:9 | 22 |
| რომა | 11 | 5 | 5 | 1 | 17:8 | 20 |
| მილანი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 19 |
| ლაციო | 11 | 4 | 5 | 2 | 13:6 | 17 |
| იუვენტუსი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:11 | 17 |
| ბრეშა | 11 | 4 | 5 | 2 | 18:18 | 17 |
| ბოლონია | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 17 |
| ვერონა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| ატალანტა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | 14 |
| ტორინო | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 13 |
| ლეჩე | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| უდინეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 17:19 | 12 |
| პარმა | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | 11 |
| პერუჯა | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| ფიორენტინა | 11 | 3 | 1 | 7 | 14:23 | 10 |
| პიაჩენცა | 11 | 2 | 3 | 6 | 13:16 | 9 |
| ვენეცია | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | 4 |

**„კიევო",** „კიევო"... ვნახოთ ერთი, მართლა დიდ სარბიელზე რას იზამს. კვირას სერია A-ს დაუპატიჟებელი ლიდერი მილანში ჩადის და „სან სიროზე" უნდა გამოიცადოს.

„სან სიროზე" კონკია არასდროს ყოფილა. ანკი, როგორ უნდა მოხვედრილიყო, როდესაც თავად უმაღლეს ლიგაში პირველადაა, ხოლო „სან სიროს" ბინადარნი, „მილანი" და „ინტერი" არასდროს გავარდნილან. თუმცა არა, ერთი შემთხვევა იყო, წინა საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც „მილანი" თამაშების ჩაწყობაში ამხილეს და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდით გააძევეს სერია B-ში, ოღონდ „კიევოს" მაშინაც არ გადაყრია, რადგან ვერონელები იმხანად სერია C-ში წვალობდნენ.

ამჯერად კი, აი, უკვე მეთორმეტე ტური იწყება და „კიევო" ძველებურად ლიდერობს, პირველი ადგილიდან ფეხს არ იცვლის. ერთი სიტყვით, ვერონელი „მფრინავი ვირები" (ასეც უწოდებენ) ნამდვილზე ნამდვილი ტესტის წინაშე დგანან.

„მფრინავი ვირებიო"? რას ნიშნავს ეს ნეტავ? რას და იმას, რომ „კიევოს" თანაქალაქელები, „ვერონას" ტიფოზები, ოდითგან ასე ხუმრობდნენ, ვირები ფრენას მაშინ დაიწყებენ, როდესაც „კიევო" სერია A-ში გადავაო. გადავიდა კი არა, „მილანი", „იუვენტუსი", „რომა", „ლაციო", „ინტერი" წელებზე ფეხს იდგამენ და ცხრილის სათავიდან ძვრა ვერ უყვეს.

„კიევოს" პრეზიდენტი, თავად „ინტერის" გულშემატკივარი ლუკა კამპედელი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ დიდ „სან სიროზე" თამაშის წინ ღამეები არ სძინავს:

„ბოლოს და ბოლოს გავაცნობიერე სადამდე შეგვიტოპია. ჩვენ ხომ „სან სიროზე", ამ საფეხბურთო „ლა სკალაზე" უნდა ვითამაშოთ".

მართლაც და... ხვალ, კვირას, 33 წლის მეკონდიტრე საპატიო სტუმართა ლოჟაში იტალიის პრემიერ-მინისტრს, სილვიო ბერლუსკონის მიუჯდება გვერდით. ორივე კლუბის პრეზიდენტია და ასე ეკუთვნით.

„მილანი" კი, ამასობაში, საკუთარ მაყურებელს ცოტა არ იყოს შემკრთალი წარუდგება. დიახ, ამ პრიმადონებით დახუნძლულმა კლუბმა მთლად სასურველი შედეგი ვერ უჩვენა მომთხოვნ ტიფოზებს. ერთი იყო გულის გასახარი: მილანურ დერბიში „ინტერს" კოშმარული 20 წუთი მოუწყო და დაამარცხა.

და სწორედ ეს 20 წუთი გახლდათ „ინტერის" ყველაზე დიდი ჩავარდნა წინა 11 ტურში. სხვა მხრივ, „შავ-ლურჯებს" სასაყვედურო განსაკუთრებული არაფერი აქვთ და ცხრილშიც ისე მიდიან, საკმარისია „მფრინავ ვირებს" ფრთები სულ ოდნავ მოეკვეცოთ, რომ ლიდერობას საკუთარი ყურებივით ვეღარასოდეს ნახავენ.

ამჯერად „ინტერი" ბერგამოში „ატალანტას" ხვდება და მის მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს პირველად ეძლევა თეორიული შანსი თავდასხმაში კრისტიან ვიერის, ალვარო რეკობასა და რონალდოს ტრიო ათამაშოს, რაც ქაღალდზე ძალიან შთამბეჭდავად იკითხება.

ჩემპიონი „რომა" კი, რომელიც მესამე ადგილზეა და „კიევოს" სამად სამი ქულით ჩამორჩება, აუტსაიდერ „ვენეციას" მასპინძლობს — „ვენეციას", თუ არ დაგეზარებათ და ცხრილს დააკვირდებით, გასულ თერთმეტ შეხვედრაში წამლად ერთი მოგებაც არ უწერია.

„ლაციოსაც" აქვს სამი ქულის შემატების შანსი. გუნდი, რომელიც კარგად მხოლოდ მას მერე ათამაშდა, რაც ახალმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ 41 მილიონ დოლარად ნაყიდი გაისკა მენდიეტა სათადარიგოთა სკამზე დასვა, ლეჩეში თამაშობს.

„იუვენტუსი" ბოლო რვა თამაშში ერთადერთ მოგებას ითვლის და, ალბათ, რცხვენია. თუ არ რცხვენია, ყოველ შემთხვევაში მეორე გამარჯვება სწყურია და ამისთვის შინ „პერუჯას" მოზღვავებული ენერგიით ეძგერება.

კიდევ, რა? „პიაჩენცას" ფორვარდი დარიო უბნერი ბომბარდირთა სიას ცხრა გოლით ლიდერობს და ვნახოთ, ფლორენციაში მონაგარს რაიმეს თუ შემატებს.




რონალდო და კრისტიან ვიერი „ატალანტას" ერთად შეუტევენ?

# ინგლისი

გიგა კობახიძე



ფაბიენ ბარტეზი: რას მეუბნებით? არაფერი მესმის

## დეკემბერი დადგაო! ბარტეზი კარში ჩადგაო?

| XV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ასტონ ვილა | - | ლესტერი |
| ბლეკბერნი | - | მიდლსბრო |
| ჩარლტონი | - | ნიუკასლი |
| დერბი | - | ლივერპული |
| იფსვიჩი | - | არსენალი |
| მანჩესტერი | - | ჩელსი |
| სანდერლენდი | - | ვესტ ჰემი |
| ხვალ | | |
| ფულემი | - | ლიდსი |
| ევერტონი | - | საუთჰემპტონი |
| ზეგ | | |
| ტოტენჰემი | - | ბოლტონი. |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 12 | 8 | 2 | 2 | 22:11 | 26 |
| ლიდსი | 13 | 6 | 6 | 1 | 16:8 | 24 |
| არსენალი | 13 | 6 | 5 | 2 | 28:15 | 23 |
| ნიუკასლი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:17 | 23 |
| ასტონ ვილა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:12 | 23 |
| მანჩესტერი | 13 | 6 | 3 | 4 | 31:23 | 21 |
| ტოტენჰემი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:18 | 21 |
| ჩელსი | 13 | 4 | 8 | 1 | 16:11 | 20 |
| ბოლტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:17 | 20 |
| ბლექბერნი | 14 | 4 | 7 | 3 | 21:16 | 19 |
| ფულემი | 13 | 4 | 6 | 3 | 15:13 | 18 |
| ევერტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:17 | 17 |
| სანდერლენდი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | 16 |
| მიდლსბრო | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ვესტ ჰემი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:26 | 15 |
| ჩარლტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 16:18 | 14 |
| საუთჰემპტონი | 13 | 3 | 1 | 9 | 11:22 | 10 |
| დერბი | 13 | 2 | 4 | 7 | 10:23 | 10 |
| ლესტერი | 14 | 2 | 4 | 8 | 7:25 | 10 |
| იფსვიჩი | 14 | 1 | 6 | 7 | 14:22 | 9 |

**ჩვენში** იშვიათად ნახავთ კაცს, ზამთრის დადგომას იმედიანად რომ შეხვდეს — აქეთ ნავთზე ხარ სარბენი, იქით კი ქუჩაა გადასაკეტი. კრიზისია, ბატონო, ქვეყანაში და აბა, როგორ გინდათ?

აგერ, „მანჩესტერ იუნაიტედშიც" კრიზისია. მართალია, ამ ორ შემთხვევაში ერთიდაიგივე სიტყვის ხმარება უხერხულია, მაგრამ იმათ სხვანაირი კრიზისი არა აქვთ და რა ვქნათ. ისე, კრიზისია, აბა, რა ჯანდაბაა, როცა საქართველოს ბიუჯეტზე გაცილებით დიდი შემოსავლის მქონე კლუბს კარის ერთი ხეირიანი დარაჯი ვერ უშოვნია.

დარაჯი თორემ, მაგასაც სუ-25 ჰყავს ჩამოსაგდები — უბრალოდ, თავის ადგილზე უნდა დადგეს და აქეთ-იქით სეირნობასა და ჟონგლიორობას თავი ანებოს. მაშინ, ალბათ, ყველაფერი რიგზე იქნება. ამჟამად კი, ძირითადად ფაბიენ ბარტეზის წყალობით, ჩემპიონი „იუნაიტედი" მე-6 ადგილზეა, ლიდერ „ლივერპულს" ხუთი ქულით ჩამორჩება, ლიგის თასიდან გავარდა და არც ჩემპიონთა ლიგაში ითვლება უცილო ფავორიტად.

ამიტომაც, დღეს ყველას მზერა ისევ ხოტორა ფრანგისკენ იქნება მიპყრობილი. როგორც ჩანს, ალექს ფერგიუსონი ისევ ენდობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს და „ჩელსის" წინააღმდეგ სწორედ მას ანდობს ბოლო ზღუდეს. ტურის მთავარი შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე" ჩვენი დროით დღის 4 საათზე დაიწყება.

მასპინძელთაგან განსხვავებით, ლონდონელები ამ მატჩს ამაღლებული განწყობით ხვდებიან — „ლიდსის" „ელანდ როუდზე" დამარცხება ხომ მართლაც დიდებული შედეგია. იმ მატჩის გმირი, ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი დღეს ალბათ ძირითადში იქნება მთავარ მეგოლე ჯიმისთან ერთად.

თუმცა ხელი არც მანჩესტერელებს ჩაუქნევიათ. „დეკემბრის დადგომა შანსს გვაძლევს და გარდაქმნა „ჩელსის" დამარცხებით უნდა დავიწყოთ" — ეიმედება პოლ სქოულზს ზამთრის მოსვლა, თუმც ისიც კარგად უწყის, რომ არისტოკრატები მისი გუნდისთვის მეტად უხერხულ მეტოქეებად ითვლებიან: „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო 12 სტუმრობისას „ჩელსიმ" მხოლოდ ორჯერ წააგო, თუმცა ძირითადად ფრეს თამაშობს და ბოლოს 1996 წლის ნოემბერში იმარჯვა, როცა გადამწყვეტი გოლი რანიერის წინამორბედმა ჯანლუკა ვიალიმ შეაგდო (2:1). „მანჩესტერი" არც „სტემფორდ ბრიჯზე" თამაშობს დიდად წარმატებულად — თუნდაც სამი წლის წინანდელი 0:5 გავიხსენოთ.

მაგრამ ახლა „იუნაიტედს" უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს: გუნდმა პრემიერლიგაში უკვე ოთხჯერ წააგო (მთელ შარშანდელ სეზონში მხოლოდ ექვსჯერ დამარცხდა, აქედან სამჯერ — ჩემპიონობის განაღდების შემდეგ) და გაუშვა 23 გოლი (ოდენ რვით ნაკლები, ვიდრე წინა სეზონის 38 მატჩში). ასე რომ, დეკემბერი მართლაც ბოლო შანსს იძლევა, მით უმეტეს, ინგლისისთვის ტრადიციულად, ეს თვე მეტად დახუნძლულია — „ჩელსის" გარდა მანჩესტერელები „ვესტ ჰემს", „დერბის", „მიდლსბროს", „საუთჰემპტონს" და „ევერტონს" ხვდებიან.

ზამთარს ლიდერად და დერბიში ხვდება „ლივერპული", რომელსაც ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მერსისაიდელებს კვლავ დაუბრუნდათ მაიკლ ოუენი, ვინც წინა კვირას „სანდერლენდთან" ვერ ითამაშა, მასპინძლებს კი სქოთი კრეიგ ბარლი არ ეყოლებათ ტრავმის გამო. ალბათ, არც ამჯერად ითამაშებს გიორგი ქინქლაძე, რომელიც კოლინ ტოდის გამწვრთნელების შემდეგ მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა მოედანზე, ისიც შემცვლელად.

და რობი ფაულერი? მთელი კარიერა ლივერპულელი რობი შაბათს უსაქმოდ იქნება, კვირას, კი ალბათ, თავის პირველ ლიდსურ მაისურას მოირგებს „ფულემთან". ახალ შენაძენთან ერთად დევიდ ოლირის გუნდს ავსტრალიის ნაკრების უობლო წევრებიც, მარკ ვიდუკა და ჰარი კიუელი, შეემატებიან, თუმცა ლონდონში გამარჯვება მაინც მეტად ძნელი იქნება — „ფულემი" შვიდ საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

სამაგიეროდ, იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებენ ლიდერთა სამეულის ბოლო წარმომადგენელ „არსენალს" — ისედაც უსუსურად მოთამაშე და ბოლო ადგილზე მყოფ „იფსვიჩს" ერთბაშად 4 კაცი ჰყავს დაშავებული, მათ შორის მთავარი ბომბარდირი მარკუს სტიუარტი და ნიგერიელი ფინიდი ჯორჯი.

ტური ორშაბათს „უაით ჰართ ლეინზე" დასრულდება: ჩემპიონატში და ლიგის თასზე წარმატებით მოთამაშე „ტოტენჰემი" ცხრილის მეზობელ „ბოლტონს" დაუხვდება. ბოლტონელები თავს თითქოს კარგად იცავენ, თუმცა კარის მშრალად შენახვა ბოლო 11 მატჩში მხოლოდ ერთხელ, წინა ტურში „ფულემთან" შეძლეს.

# გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

## აჰა, მეჰმეთიც ბრუნდება...

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მიუნხენი | - | კოტბუსი |
| შტუტგარტი | - | გლადბახი |
| ნიურნბერგი | - | შალკე |
| ვერდერი | - | ლევერკუზენი |
| კიოლნი | - | დორტმუნდი |
| ლაუტერნი | - | ფრაიბურგი |
| ჰანზა | - | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | - | ბაიერნი |
| ჰამბურგი | - | ზანქტ პაული |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 14 | 11 | 3 | 0 | 37:15 | 36 |
| ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 30:5 | 32 |
| დორტმუნდი | 14 | 10 | 1 | 3 | 24:9 | 31 |
| ლაუტერნი | 14 | 9 | 1 | 4 | 30:20 | 28 |
| ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:15 | 26 |
| ჰერტა | 14 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 24 |
| შტუტგარტი | 14 | 6 | 4 | 4 | 17:14 | 22 |
| შალკე | 14 | 6 | 4 | 4 | 16:17 | 22 |
| მიუნხენი | 14 | 5 | 2 | 7 | 19:27 | 17 |
| ფრაიბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:23 | 16 |
| ვოლფსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:20 | 15 |
| გლადბახი | 14 | 3 | 5 | 6 | 16:21 | 14 |
| ჰამბურგი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:22 | 13 |
| ჰანზა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:20 | 13 |
| კოტბუსი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:25 | 13 |
| ნიურნბერგი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:24 | 11 |
| კიოლნი | 14 | 3 | 2 | 9 | 11:26 | 11 |
| ზანქტ პაული | 14 | 1 | 4 | 9 | 13:27 | 7 |



მეჰმეთ შოლი

**გერმანიაში** წესად აქვთ, შემოდგომის ჩემპიონის ვინაობასაც დიდ ყურადღებას აქცევენ და ვინაიდან ამ ეტაპის დასრულებამდე მხოლოდ სამი ტური დარჩა, ცხადია, ლიდერთა ყოველ მატჩსაც განსაკუთრებული ელფერი დაედო.

დღეს ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ ძალიან საინტერესო თამაშია, ზედიზედ ოთხი შეხვედრის მომგები „ვერდერი“ ლიდერს, ბუნდესლიგაში ჯერაც დაუმარცხებელ „ლევერკუზენს“ მასპინძლობს.

თომას შაафის გუნდმა „ვოლფსბურგს“, „ჰანზასა“ და მრისხანე „ბაიერნს“ ერთი და იმავე ანგარიშით, 1:0 სძლია, წინა შაბათს კი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „შალკეს“ მისსავე ახალ „არენაზე“ 4:1 მოუგო. შაафს იმედი აქვს, რომ ეშხში შესული მისი ბიჭები არც ბაიერელებთან შეირცხვენენ თავს. თანაც სტუმრებმა ხომ მომქანცველი და უხეირო კვირა გამოიარეს, ტურინის „დელე ალპიზე“ ნისლის გამო ოთხშაბათს მეორედ გადაედოთ ჩემპიონთა ლიგის მატჩი „იუვენტუსთან“. მხარეთა შეთანხმებით ამათ ხუთშაბათს მაინც ითამაშეს და „იუვემ“ 4:0 გაიმარჯვა, თანაც ისე, რომ ლევერკუზენელებს ხეირიანად არც შეუტევიათ. „ჯერ იყო და, ტურინში ორჯერ მოგვიხდა ჩასვლა, ოთხშაბათს ღამის თერთმეტის ნახევრამდე სტადიონზე ვიყურყუტეთ, გამოდარებას ველოდით. ბოლოს, როგორც იქნა, სასტუმროში წაგვიყვანეს, რომელიც „დელე ალპიდან“ საათნახევრის სავალზეა, დღეს დილას კი იგივე დრო და მანძილი უკან დაბრუნებას მოვანდომეთ“ — აი, ასეთი იყო „ბაიერის“ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის მატჩისშემდგომი კომენტარი.

ამისდაკვალად, ცხადია, ბრემენული შეხვედრა სტუმართათვის ერთობ მძიმე იქნება. ერთის მხრივ, ხასიათწამხდარებს თვითრწმენის აღდგენა მართებთ, თუმცა იქნებ პირიქითაც მოხდეს და „იუვენტუსის“ ჯავრი ბოლო დროს წამოჩიტულ „ვერდერზე“ იყარონ...

ხვალ მიუნხენის „ბაიერნი“ ბერლინის „ჰერტას“ მეკარე ოლივერ კანისა და კაპიტან შტეფან ეფენბერგის გარეშე ეწვევა. ეფენბერგმა, „ნიურნბერგთან“ წინა ტურში ტრავმა გაიმიზეზა, ხოლო კანი არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან“ საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში დაშავდა. მის ადგილს ან შტეფან ვესელსი, ანაც ბერნდ დრეერი დაიკავებს. სხვა მხრივ, ბავარიელები ოდნავ გადაღლილნი, მაგრამ დიდებულ გუნება-განწყობაზე არიან, „ბოკას“ დამარცხებით ხომ ისინი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონები გახდნენ.

სტუმართა მოტივაციას ისიც აძლიერებს, რომ ბუნდესლიგაში ზედიზედ ცხრა გამარჯვებისა და სამტურიანი ლიდერობის მერე, აგერ უკვე ორი თამაშია აღარ მოუგიათ და ლიდერ „ლევერკუზენს“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან. ხვალ „ბაიერნს“ ალბათ მოშუშებული ვარსკვლავი მეჰმეთ შოლი დაუბრუნდება, ანაც წლევანდელ ჩემპიონატში მხოლოდ სამჯერ მოირგო კლუბის მაისური: „მხოლოდ 90 წუთის სათამაშოდ ჯერ მზად არ ვარ, მაგრამ მთავარია რომ ვბრუნდები“ — თქვა შოლმა.

თავის მხრივ, წლეულს თითქოს ჩრდილში მყოფმა „ჰერტამ“ ბოლო ხუთ ტურში ოთხჯერ და... თუმცა თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ თავის ოლიმპიურ სტადიონზე 1997 წლის, ანუ ბუნდესლიგაში დაბრუნების შემდეგ „ჰერტამ“ „ბაიერნს“ რვა მატჩში მხოლოდ ორჯერ აჯობა.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ კაიზერსლაუტერნს ეწვევა. სტუმრებს ფრანგი ნახევარმცველი აბდერ რამდანე და განელი შემტევი იბრაჰიმ ტანკო დაუბრუნდებიან, რომლებმაც ოთხშაბათს სამხრეთ რეგიონალლიგელ „დარმშტადტთან“ სათასო მატჩი გამოტოვეს. ის თამაში „ფრაიბურგმა“ პენალტებით 1:3 წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ფოლკერ ფინკეს შეგირდები ბუნდესლიგის ბოლო ორ შეხვედრაში და უეფას თასზე ჰოლანდიურ „ფეიენოორდთანაც“ დამარცხდნენ, ადვილი წარმოსადგენია როგორი განწყობით გავლენ ლაუტერნის „ფრიც ვალტერ შტადიონზე“. მაგრამ ანდრეას ბრემეს გუნდი ხომ ჩემპიონატს კარგა ხანს ლიდერობდა და დაკარგულის დაბრუნებას ცდილობს...

„კიკერის“ ვერსიით კობიაშვილი და იაშვილი „ფრაიბურგის“ ძირითადში იქნებიან, ხოლო ცქიტიშვილი შეცვლაზე თუ ითამაშებს.

მესამე ადგილზე მდგარი დორტმუნდის „ბორუსია“ არჩილ არველაძის „კიოლნს“ ესტუმრება და სამ ტრავმირებულ თავდამსხმელსა ჩეხ იან კოლერს და ბრაზილიელებს, ევერტონსა და მარსიო ამოროზოს ვერ ათამაშებს. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ „დორტმუნდი“ „გასვლის“ გუნდია და წლეულს შვიდი სტუმრობიდან ექვსჯერ გამარჯვებული დარჩა.

# ესპანეთი

ბაჩო სვანიძე

## კრუიფი ნაკრუიფალს ემუქრება
## მეფემ პალერმოს კოჭი წაიღო

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | - | ოსასუნა |
| ესპანიოლი | - | დეპორტივო |
| ალავესი | - | ბარსელონა |
| ვალენსია | - | მალიორკა |
| **ხვალ** | | |
| სელტა | - | ვილიარეალი |
| ბილბაო | - | სარაგოსა |
| ლას პალმასი | - | სევილია |
| ვალიადოლიდი | - | რაიო ვალეკანო |
| ბეტისი | - | ტენერიფე |
| მალაგა | - | სოსიედადი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 14 | 8 | 2 | 4 | 28:20 | 26 |
| ალავესი | 14 | 7 | 3 | 4 | 15:9 | 24 |
| ბეტისი | 14 | 7 | 3 | 4 | 17:13 | 24 |
| ბარსელონა | 14 | 6 | 5 | 3 | 22:11 | 23 |
| ვალენსია | 14 | 5 | 8 | 1 | 14:10 | 23 |
| ბილბაო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:18 | 23 |
| რეალი | 14 | 6 | 4 | 4 | 25:18 | 22 |
| სელტა | 14 | 5 | 6 | 3 | 26:17 | 21 |
| ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 15:12 | 21 |
| სევილია | 14 | 5 | 5 | 4 | 23:17 | 20 |
| სარაგოსა | 14 | 6 | 2 | 6 | 14:17 | 20 |
| ვალიადოლიდი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:24 | 18 |
| მალიორკა | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | 17 |
| ტენერიფე | 14 | 5 | 2 | 7 | 11:16 | 17 |
| ესპანიოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:25 | 17 |
| მალაგა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ლას პალმასი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:14 | 15 |
| ოსასუნა | 14 | 4 | 3 | 7 | 12:20 | 15 |
| სოსიედადი | 14 | 4 | 2 | 8 | 16:23 | 14 |
| რაიო | 14 | 3 | 1 | 10 | 14:26 | 10 |

**პრიმერადივიზიონის** თავში სიმჭიდროვეა და ამ ტურის შემდეგ შეიძლება, ახალი ლიდერიც გამოჩნდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პირველადგილოსანი „დეპორტივო“ კატალონიურ „ესპანიოლთან“ წააგებს, „ალავესი“ ან „ბეტისი“ კი თავიანთ შეხვედრებს მოიგებენ.

**ერთი შეხედვით**, „დეპორტივოს“ „ესპანიოლთან“ მარცხი არარეალურია, მაგრამ „სუპერდეპორის“ ბოლოდროინდელ სუსტ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, შეუძლებელი არაფერია. ხავიერ ირურეტას შეგირდებმა ბოლო სამი გასვლითი მატჩი დათმეს, თუმც ლიდერობა მაინც შეინარჩუნეს.

როგორც აღვნიშნეთ, „დეპორტივოს“ ცხრილის სათავიდან ჩამოჩოჩება, „ალავესს“ შეუძლია. ბასკები საუკეთესო ფორმაში არიან და მეტად საპატიო სტუმრის, „ბარსელონას“ სამასპინძლოდ ყოველმხრივ მზად არიან.

კატალონიელებს კი ახლა არცთუ კარგი დროება უდგათ. თუ ჩემპიონთა ლიგაში ერთიმეორის მიყოლებით შთამბეჭდავად იმარჯვებენ, პრიმერადივიზიონში მათ თამაშზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. კარლოს რექსაჩის გუნდი მეტად არასტაბილურია და წინა ტურში შინ ბილბაოს „ატლეტიკთან“ წააგო.

გავიხსენოთ, რომ „ბარსელონამ“ თავის დროზე მისი ლეგენდარული ფეხბურთელისა და შემდგომში მწვრთნელის, ჰოლანდიელი იოჰან კრუიფის ვაჟიშვილი ხორდი გაუშვა, სუსტი ხარო. ახლა ხორდი სწორედ „ალავესის“ ღირსებას იცავს და ბარსელონიდან გაყოლილი ბოღმა დღემდე ახრჩობს. აი, რას ამბობს უმცროსი კრუიფი ამ მატჩის შესახებ: „თუ „ბარსელონას“ გამარჯვება უნდა, ბლომად ოფლის ღვრა მოუწევს. კატალონიელებს არ ეგონოთ, რომ აქ სასეირნოდ ჩამოვლენ. „ბილბაოსთან“ მარცხის შემდეგ, ალბათ, ფრეც დააკმაყოფილებთ, ჩვენ კი მოგების გარდა სხვა შედეგის გაგონებაც არ გვინდა“.

„ბილბაოსთან“ მატჩში ტელეკამერებმა დააფიქსირეს, როგორ ჩაარტყა რივალდომ ზურგში ლაკრუსს. ეს ეპიზოდი მსაჯს კი გამოეპარა, მაგრამ ვიდეოთვალს რას გამოაპარებ? რივალდოს საქმე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა. თუმც ხსენებული ეპიზოდი ჯერ არ განხილულა და ბრაზილიელი ვარსკვლავიც თავის კლუბს ვიტორიაშიც ჩაჰყვება. ასე რომ, კარლოს რექსაჩს ფეხბურთელები ასარჩევად ჰყავს.

„ბარსელონას“ მოსისხლე მტერი „რეალი“ მაჩანჩალა „ოსასუნას“ უმასპინძლებს. წინა ტურში მადრიდულივე „რაიო ვალეკანოს“ განადგურების შემდეგ „სამეფო კლუბი“ ხვალინდელ მეტოქესაც იგივეს უპირებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ სტივ მაკმანამანი დააკლდება.

თოთხმეტ მატჩში მხოლოდ ერთი მარცხი, ასეთია „ვალენსიას“ ამჟამინდელი მონაგარი, რომელიც მეთხუთმეტე ტურში „მალიორკას“ დაუხვდება.

წინა სეზონის მესამეადგილოსანმა, ახლა კი დაბეჩავებულმა კუნძულელებმა წინა ტურში შინ „დეპორტივო“ სენსაციურად, 4:1 დაამარცხეს. მალიორკელები კრიზისიდან თავის დაღწევას ლამობენ და საამისოდ „ვალენსიას“ დაჯაბნას შეეცდებიან. თუმცა, ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, „მესტალიაზე“ „ვალენსია“ მუდამ ფავორიტია. რაფაელ ბენიტესის გუნდისთვის ეს მატჩი გენერალურ რეპეტიციაც იქნება „სელტიკთან“ უეფას თასის საპასუხო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრის წინ.

ბილბაოს „ატლეტიკი“, რომელიც ამ სეზონში სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ, ცხრილის შუაში გამაგრებულ „სარაგოსას“ დაუპირისპირდება. სხვა მატჩებიდან „ რეალ ბეტისი“ — „ტენერიფესა“ და „სელტა“ — „ვილიარეალს“ გამოვარჩევთ. „დეპორტივოს“ და „ალავესის“ წაფორხილების შემთხვევაში „ბეტისს“ შანსი ეძლევა, ცხრილის სათავეში მოექცეს. საამისოდ სევილიელებს ცხრილის ქვედა ნაწილში ჩავარდნილ „ტენერიფეს“ დამარცხება მართებთ.

ვიგოს „სელტამ“ კი წინა ტურში ნავსი გატეხა და თითქმის ერთთვიანი წაგებათა სერია შეწყვიტა. გალისიელები ახლა კარგ გუნებაზე არიან და თავიანთი ბომბარდირის, დიეგო კატანიას დიდი იმედიც აქვთ. მით უმეტეს, რომ „ვილიარეალს“ უპირველესი მეგოლე, არგენტინელი მარტინ პალერმო არ ეყოლება. მან ქვედალიგელ „ლევანტესთან“ ესპანეთს სამეფო თასის მატჩში კოჭი მოიტეხა და ამბობენ, სეზონიც დაასრულაო.



„ბარსელონამ“ ხორდი და იოჰან კრუიფები გაანაპირა

ეროვნული ბიბლიოთეკა




„ლივერპულში“ მეცხრე რობი ფაულერს ლიდსელებმა ნომერი მოუმატეს

# ზამთარია, სიცივეა, ფაულერი მოდის

**„მე იაფი** და მხიარული ვარ“ — თქვა რობი ფაულერმა, ქუდი დაიხურა და „ენფილდის“ კარიც გაიჯახუნა.

რობის საფასურად თერთმეტი მილიონი გირვანქა მართლაც იაფია, ხოლო „ლივერპულიდან“ წამსვლელის მხიარულება ცოტა ძნელი დასაჯერებელი. ეჭვის საფუძველი ის ცხრა წელიწადია, თავდამსხმელის და მისი მშობლიური ქალაქის მშობლიურ გუნდს ერთად რომ უვლიათ. რამდენჯერ წამოშლილან ტრიბუნებიდან ქომაგები რობის გატანილი გოლისას, რამდენჯერ გამოუჭედავს ფაულერს გუნდის გამარჯვება. იგი „წითელთა“ გულშემატკივრებისთვის კერპი გახლდათ, თუმცა ახლა მისი ჯიგრით უკვე „ელანდ როუდი“ გაიხარებს.

„არ მეგულება კაცი, რომელიც „ლივერპულიდან“ წასვლით ბედნიერი იყოს, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება სწორია. ყველაფერი რიგზეა და „ლიდსში“ გადასვლა ჩემთვის მომგებიანია“ — ფაულერმა ჯერ მოკლე ფრაზა იკმარა, მაგრამ შემდეგ ენა ამოიდგა და სხვა რამეებზეც ილაპარაკა.

საზოგადოდ, რობისთანა მეგოლეები სკამს არ უნდა ხეხავდნენ. ისიც ვიცით, რომ სათადარიგოთა შორის მყოფთ სვენ გორან ერიკსონი, ისევე როგორც ყველა ნაკრების მწვრთნელი, ნაკლებად სწყალობს. ჟერარ ულიემ კი თავდამსხმელი ინგლისური ფეხბურთის წინა რიგებიდან სადღაც ძალიან შორს, მოედნის მიღმა გადაისროლა.

ჰოდა, როგორ მოიქცეოდა ჭკვიანი კაცი? ადგა და გადავიდა იქ, სადაც ელოდნენ. „ელანდ როუდი“ და „ლიდს იუნაიტედის“ უზომო ამბიცია მართლაც რომ ფაულერისთვისაა: „პრემიერლიგის მოგება „ლიდსშიც“ შეიძლება. „ლივერპულს“ შარშან ფანტასტიკური სეზონი ჰქონოდა. ახლაც ძალიან ძლიერია, მაგრამ „ლიდსი“ სულ სხვაა. იორკშირელებს დიდი გუნდი ჰყავთ. ვგრძნობ, რომ ამ გუნდისთვის არანაირი წინაღობა არ არსებობს. ახალი გუნდის სტილი ჩემი სტილია და დარწმუნებით ვამბობ, რომ „ლიდსთან ერთად უდიდესი წარმატებების მიღწევას შევძლებ“.

როგორც ვხედავთ, მაგარი ლივერპულელი მაგარ ლიდსელობას აპირებს. მაგრამ ახლადგამომცხვარი ლიდსელი „ენფილდს“ მხოლოდ მტრად თუ დაუბრუნდება. ბევრი ქომაგი დრტვინავს ამის გამო, ბევრნიც რობის ნაბიჯს გაგებით ეკიდებიან.

ყოფილ ლივერპულელ ვარსკვლავს, პიტერ ბერდსლის მოვუსმინოთ: „რობის წასვლამ გაგვაწბილა. თანაც თერთმეტი მილიონი ძალიან ცოტაა. გაკვირვებული ვარ, გაკვირვებულია ფანობაც, ვინც ფაულერს „ღმერთს“ ეძახდა.

იქნებ რობის თავადაც სურდა წასვლა, ეს გასაგებია. კლუბის ხელმძღვანელობის აჩქარებაც მესმის, ფაულერის წასვლა კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ხომ ვერაფრით შეავსებდა გუნდის სალაროს“.

ჟერარ ულიეს დაწუნებულ ფეხბურთელს დევიდ ოლირიმ და მისმა ამფსონებმა ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჯამაგირიც გვარიანია — ოცდათხუთმეტი ათასი გირვანქა კვირაში. ფაულერი ლიდსელებმა უკვე წარუდგინეს ჟურნალისტებსა და ადვილი შესაძლებელია, რობიმ იორკშირული გუნდის თეთრი მაისურა ამ უქმეებზევე მოირგოს და „ფულემის“ დაცვის დაწიოკებაც ვიხილოთ.

ცხადია, „ლიდსის“ გულშემატკივარი გახარებულია. ზოგი იმასაც ამბობს, გიჟმაჟი ალან სმიტი ცოტათი დაგვიწყნარდება, წითელ-ყვითელ ბარათებსაც მოერიდება, რადგან ფაულერის გამოჩენა თავისთავად შეტევის ხაზში კონკურენციას გაამძაფრებსო. თუმცა ლიდსელების სიხარულის საფუძველი მარტო ეს არ არის.

უმწიკვლო რეპუტაციით ვერც ფაულერი გამოიდებს თავს. გახსოვს, „ლივერპულის“ დაუძინებელი მტრის, „ევერტონის“ კარში გატანილი გოლის შემდეგ რობის ზეიმი — ტრიბუნები გუგუნებდნენ, რობიმ კი ქომაგთა გულისთქმას თავისი სიხარული იმით შეუერთა, რომ „ევერტონის“ კარის დალაშქვრა კოკაინის ყნოსვის სიამოვნებას შეადარა და კარის ხაზთან მდგომმა ეს სცენა კარგადაც გაითამაშა. ალბათ, ჩელსელი გრემ ლე სოსთვის გამომწვევად მიშვერილი უკანალიც გახსოვთ, რითაც ფაულერი ჯარიმის დასარტყმელად მომზადებული ლე სოს ვითომ ჰომოსექსუალისტობას აღნიშნავდა. რობი ამ პატარა ცუღლუტობების გამო ექვსი მატჩის გამოტოვებით და სარეკორდო ჯარიმით — ოცდათორმეტი ათასი გირვანქით დაისაჯა.

მისთვის არც ალკოჰოლია უცხო. ის და მისი ყოფილი თანაგუნდელი სტივ მაკმანამანი აკი ამხილეს კიდეც, თანაც საბერძნეთის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ.

ვერ ყოფილა რობი მთლად ანგელოზი. მაგრამ დიდ ფეხბურთელობას და ჯიგარს ნაღდად ვერ წაართმევ. ერთი ეპიზოდიც გავიხსენოთ: „არსენალთან“ შეხვედრის დროს ფაულერი მეკარე სიმენის პირისპირ გავიდა. თავდამსხმელი წაიქცა, მსაჯმა კი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. ფაულერმა კი, სიმენს წესები არ დაურღვევიაო.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# ერთხელ ვუკბინე, რა მოხდა...

**სევილიელი** ფრანსისკო გალიარდოს მიერ თანაგუნდელი ხოსე ანტონიო რეიესის დაკბენის უცნაურ ამბავს გუშინ კიდევ უფრო უცნაური (ნორმალური მამაკაცებისთვის) განცხადება მოჰყვა.

თუმც ჯერ ამბავი გავიხსენოთ. რეიესმა წინა კვირას პრიმერადივიზიონში გოლი გაიტანა და, ცხადია, გაიხარა. გაიხარეს თანაგუნდელებმაც, რომლებიც მეგოლეს შემოეხვივნენ და მიულოცეს. ბოლოს რეიემთან გალიარდომაც მიირბინ[illegible] ფეხებს შუა უკბინა.

ატყდა ერთი ამბავი, აქეთ ფეხბურთის ფედერაციაში დაინიშნა საქმის გარჩევა, იქეთ ჟურნალისტებს საწერი მიეცათ, ზოგი ახითხითდა, ზოგი აღშფოთდა. მოკლედ, ყველამ რაღაც ქნა.

ახლა კი თავში ნახსენებ უცნაურ განცხადებაზეც. ცხადია, მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო თავად გალიარდოს კომენტარი უნდა იყოს. მკბენელმა მხრები აიჩეჩა და გაიკვირვა... მერე რა მოხდა, იმისთანა რა ვქენი, კბილები რომ დაილესეთო.

კბილები ვისაც აქვს დალესილი, კი გამოჩნდა და...



სარცხვინელზე მკბენარი ფრანსისკო გალიარდო

# გაჯენტლმენებული დი კანიო და პატიოსანი აბდალა

**ფიფას** ჯილდო „ფეარ პლეი“ ინგლისში მოთამაშე შერეკილმა იტალიელმა პაოლო დი კანიომ მიიღო. მსოფლიო ფეხბურთის მმართველთა ღრმა რწმენით, ისე ჯენტლმენურად, როგორც დი კანიო წინა სეზონში იქცეოდა, დუნიაზე სხვა არავინ მოქცეულა.

ცხადია, ფიფაზე ერთმა გახმაურებულმა ეპიზოდმა იმოქმედა: დი კანიოს „ვესტ ჰემი“ ლივერპულში „ევერტონს“ ხვდებოდა და სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა, შეხვედრა 1:1 დასრულდა. რატომ, ხომ იცით? იმიტომ, რომ იტალიელმა მასპინძლებს გოლი არ გაუტანა — ტრევორ სინკლერის ჩაწოდებული ბურთი რომ მიიღო და მისი კარში შეგდების მეტი არაფერი რჩებოდა, ტკივილისგან მბორგავი მეკარე პოლ ჯერარდი შენიშნა, ბურთი განზე გადააგდო და მსაჯს მეკარისკენ მიუთითა, დავეხმაროთო.

თუმცა დი კანიოსგან მხოლოდ ეს როდი ახსოვთ. 1998 წელს მან მსაჯ პოლ ოლკოკს ისეთი დრუზა, თქვენი მოწონებული. მაშინ 11 თამაშის გამოტოვება მიუსაჯეს. იმ წელიწადს იტალიელი „შეფილდ უენსდეის“ წევრი გახლდათ.

„მსაჯს რომ დავარტყი, სულ ფსიქოპატი მეძახეს. ნამდვილად არ მეგონა ჩემი საქციელი ასეთ რეაქციას თუ გამოიწვევდა. ახლაც იგივე ხდება, გოლი არ გავიტანე და მაჯილდოვებენ. არც ამას ველოდი — ამბობს დი კანიო და „ევერტონის“ ამბავს იხსენებს — დავინახე, მეკარე მინდორზე გორაობდა. მეტიც, შევნიშნე, რომ მუხლი სადღაც სხვაგან ჰქონდა. იცით, ჩვენ, დავარდნა ხშირად გვიწევს და ვიცით, რა, როდის, როგორ არის, ხელად შევატყვე, რომ მისი საქმე სერიოზულად იყო. ის ყვიროდა. ამიტომაც დავუძახე მსაჯს, ჩქარა, სამედიცინო დახმარება სჭირდება-მეთქი, შევაგდებდი გოლს? დარწმუნებული არასდროს არაფერში უნდა იყო, მაგრამ დაუცველ კარში ბურთის დამიზნება წესით არ უნდა გამჭირვებოდა“.

დი კანიოს გარდა ფიფა განელ სუმაილა აბდალასაც აჯილდოვებს. აბდალამ ერთ-ერთ თამაშში გონდაკარგულ მოწინააღმდეგეს სული ჩაბერა და გადაარჩინა.

ამ კეთილ ადამიანებს საფეხბურთო დიდმოხელენი 17 დეკემბერს ციურიხში დააჯილდოვებენ. დღის მთავარი მოვლენა კი ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის დასახელება იქნება.

**მიხეილ სურგულაძე**




პაოლო დი კანიო წლის ჯენტლმენი გახდა

# შეგარგოს ვაზის ნაჟური, ვაჟი ყოფილხარ ვაჟური!

## ღვინის ძალა ქვევრს კი არა, ლაუდრუპსაც აბრუნებს



მიქაელ ლაუდრუპი

**არიან** ადამიანები, რომლებიც ერთი სახეობის ნივთებს აგროვებენ. მაგალითად, საფოსტო მარკებს ან სხვადასხვა მარკის ავტომობილებს. ეს მათი ჰობია და საბოლოო ჯამში ისინი საკმაოდ საინტერესო კოლექციის მფლობელები ხდებიან (საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ძირითადად ვალები უგროვდება, მეტწილად ჯიხურებსა და მაღაზიებში).

სახელგანთქმულ დანიელ ფეხბურთელ მიქაელ ლაუდრუპს კი ღვინის შეგროვება გადაუწყვეტია და როგორც თავად ამბობს, უპირატესობას წითელს ანიჭებს. ლაუდრუპი, ისევე როგორც თავის დროზე ფეხბურთს, ამ საქმესაც მთელი სერიოზულობით მიუდგა. ალბათ ამიტომაც, დიდ წარმატებასას მიაღწია.

პირველი ალკოჰოლური შთაბეჭდილება მაშინ 19 წლის მიქაელმა იტალიაში მიიღო. 1983 წელს აპენინის ნახევარკუნძულზე ყოფნისას ფეხბურთელს პირველად დაუჭაშნიკებია იტალიური ღვინო. „მართალია, ჩვენ ვვარჯიშობდით, მაგრამ სადილზე და ვახშამზე თითო ჭიქა ღვინოს მივირთმევდით. ძალიან მომწონდა, თუმც მათი ხარისხის განსაზღვრა უკვე შემდეგ, ესპანეთში ყოფნისას ვისწავლე, გემოვნებაც საბოლოოდ იქ ჩამომიყალიბდა. ჩემი გული „რიოიუმ“ (ესპანური ღვინის მარკაა) დაიპყრო“ — იხსენებს მეღვინე ფეხბურთელი.

მიქაელ ლაუდრუპმა ბარსელონაში თავისი ორი თანამემამულე, ასევე ღვინის კოლექციონერები გაიცნო. მათ გადაწყვიტეს ეთანამშრომლათ და ასე შეიქმნა ფირმა „ლაუდრუპ ვაინ იმპორტი“. მიქაელი თავადაა დეგუსტატორი და თავისი შეხედულებით ირჩევს ღვინოს, რომელიც დანიაში უნდა ჩაიტანოს. იგი ამბობს, რომ ყველაზე ძველი მის კოლექციაში ესპანური „ვეგა სიცილიაა“, 1962 წლისა. ფეხბურთელი მას განსაკუთრებული დღისთვის ინახავს, თუმცა ჯერ არ იცის, როდის დადგება ის დღე. ისე კი, ლაუდრუპების ოჯახში მიღებულია, რომ ვახშამზე წითელი ღვინო უნდა მიირთვან.

**გაგა ხუციშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი შარესზე ცუდია

29 ნოემბერი

**ჩიკაგო 78:72 მაიამი**

**ჩიკაგო: ენტონი (11), ჰასელი (13), მერსერი (19), ოკლი (2 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (12); ფიზერი (11), ჰოიბერგი (5), კარი (4), ოლი (1)**
**მაიამი: კარტერი (10), ჯონსი 15), ელისი (4), მარქსი, მურნინგი (13); სტრიკლენდი (13), გეტლინგი (9), სტეფანია (30 წუთი, 8 ქულა, 10 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი), ჰაუსი**

29 ნოემბრამდე ნბა-ს 29 გუნდიდან ოფიციალურად ყველაზე უშნოს, „ჩიკაგო ბულზს" აქტივში ერთი კინკილა გამარჯვება ეწერა, ზედიზედ ათი თამაში წაეგო და ლიგაში ყველა დანარჩენს ჩამორჩებოდა. 29 ნოემბერს ამ უბადრუკი გუნდის წვალება დამთავრდა. ახლა ირკვევა, რომ ნბა-ში მასზე უხეიროც მოიძებნება და ეს ჩვენებური ვოვა სტეფანიას „მაიამი ჰითია".

„ჩიკაგომ" შეწყვიტა ზედიზედ წაგებების ათმატჩიანი სერია, „მაიამიმ" წააგო ზედიზედ მეათედ და აღმოსავლეთის ცხრილის ფსკერზე სეზონის განმავლობაში „მოხვეჭილი" ორი გამარჯვებით და 12 მარცხით მძლეველ „ჩიკაგოს" შეუამხანაგდა. მისი ადგილიც იქაა. „მაიამი ჰითის" თამაშის ხარისხი პირდაპირპროპორციულად შეესაბამება მის მდებარეობას გათამაშების ცხრილში.

მორიგი თამაში ჩაავლავა „მაიამის" შეტევამ. აბა, „ჩიკაგო" რა მეტოქეა, და მისთვის ასი ქულის ვერჩამგდები გუნდი თითით საჩვენებელი და დასაცინი ხდება. „მაიამიზე" კი სულაც იხარხარებენ. კვლავ ვერ ივარგა ალონზო მურნინგმა, რომელსაც ერთ დროს ნბა-ს ცენტრებში შაკილ ონილზე და ყველა დანარჩენზე წინ აყენებდნენ და სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვებში გამარჯვების ურეალურეს კანდიდატად მიიჩნევდნენ. დღესდღეობით მურნინგი ბრედ მილერთან აგებს დუელს, რომელიც ხეირიან გუნდში სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდებოდა.

მურნინგის და სრულიად „მაიამი ჰითის" შერყეული ავტორიტეტი გუშინწინ კიდევ ერთხელ შეურაცხყო ჩიკაგოელთა თეთრმა ცენტრმა. მილერს ბევრი არ ჩაუგდია, 12 ქულა თუ შეაშველა „ხარებს", მაგრამ ფარქვეშეთში ბევრი იბორგა და მაღალ სტუმრებს ბლომად პერსონალურები ჩამოურიგა, მურნინგი კი სულაც ვადამდე ადრე გაისტუმრა შორიდან მაყურებლებში. კარგა ხანია, მურნინგი ასე არ გაუბითურებიათ, მან 18 წუთში ექვსი პერსონალური მიიღო. „ჰითის" ცენტრმა თავიდანვე აკრიფა ჯარიმები და მატჩის დიდი ნაწილი დაუმსახურებლად ისვენებდა. მის არყოფნაში მაიამელთა ფარს ვოვა სტეფანია იცავდა და რიგიანადაც. ქართველმა სტუმართა შორის ყველაზე მეტი მოხსნა მიითვალა და „ჰითს" ფარი 43:35 მოაგებინა. „მაიამიმ" ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა. სტუმრებს შესაძლოა საერთოდ დაავიწყდათ, რომ თამაშის მოსაგებად საჭიროა, მეტოქეზე მეტი ბურთი ჩააგდო.

მურნინგი საბოლოოდ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში გავარდა და მილერს 213-სანტიმეტრიანი ქართველი აედევნა. სტეფანია რიგიანად იჭერდა ჩიკაგოელს, თუმც მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მასზე მაინც დაჯარიმდა. მილერმა ორი საჯარიმოდან ერთი გამოიყენა და ანგარიში 70:70 გაათანაბრა. ბეჩავ მაიამელებს საბოლოო ლახვარი მასპინძელთა ფეხმარდმა უკანახაზელმა რონ მერსერმა ჩასცა, რომელმაც ბოლო ორნახევარ წუთში შორი და საშუალო მანძილიდან სროლებით 8 ქულა გაახერხა. სტუმრებს კი ამ ხნის განმავლობაში ორი ქულის მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

**დალასი 98:110 საკრამენტო**

**დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (21), ჰარდევეი (16)**
**საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (32), თურქოღლუ (17), ჯექსონი (16)**

**ორლანდო 89:99 ბოსტონი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (22), მილერი (16)**
**ბოსტონი: უოლკერი (33 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (26 ქულა, 12 მოხსნა)**

**ტორონტო 91:88 მემფისი**

**ტორონტო: კარტერი (23), დევისი (20 ქულა, 11 მოხსნა), პეტერსონი (18)**
**მემფისი: გასოლი (22), ბეტიე (20), ბაფორდი (18)**

**კლივლენდი 96:105 ატლანტა**

**კლივლენდი: მიური (21), პერსონი (20), ჯონსი (17 ქულა, 12 მოხსნა)**
**ატლანტა: კუკოჩი (24), აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 12 მოხსნა), მუჰამედი (16 ქულა, 14 მოხსნა)**

დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრას დალასმა უმასპინძლა, სადაც ადგილობრივი „მავერიქსი" „საკრამენტო კინგზს" შეხვდა და მის დამარცხებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ლაღ და სანახაობრივ თამაშში თვალს იტაცებდა ორი ევროპელი სნაიპერის — დალასელი დირკ ნოვიცკის და საკრამენტოელი პრედრაგ სტოიაკოვიჩის დუელი. ორივე თავ-თავისი გუნდის ლიდერია. მათ პაექრობაზე ბევრად იყო დამოკიდებული მატჩის საბოლოო ანგარიში. იუგოსლაველმა იმარჯვა. სტოიაკოვიჩმა საწყის მეოთხედში პირდაპირ აიკლო მეტოქის კალათი, 12 წუთში 17 ქულა მოინაგრა და თავისიანები შვიდი ქულით დააწინაურა. მეორე მეოთხედში სხვებმაც აუბეს მხარი და ერთხანს „საკრამენტო" 20 ქულით გაექცა მასპინძლებს.

ნოვიცკიმ მეორე ტაიმში გაიღვიძა, ახლა მისი ჯერი დადგა. „დალასი" დეფიციტის აღმოფხვრას შეუდგა და საფინალო სირენამდე რამდენიმე წუთით ადრე სხვაობა ოთხ ქულამდე დავიდა. აქ სტოიაკოვიჩმა იგრძნო, რომ კვლავ მისი ჯერი დადგა, ზედიზედ სამი ბურთი ჩააგდო და აზმაურებული 18-ათასკაციანი დარბაზი ჩააჩუმა.

ორლანდოელი გრანტ ჰილი კვლავ შეაწუხა ორჯერ ნაოპერაციევმა ტერფმა და მანაც დასტაქრებს მიმართა. მათ ზუსტი პასუხი ვერ გასცეს. უთხრეს, შენი ფეხი საფუძვლიანად გამოკვლევას საჭიროებსო და თამაშის გამოტოვება ურჩიეს. ვარსკვლავთ-ვარსკვლავის არყოფნა ტკბილად შეირგო „ბოსტონმა" და „ორლანდოს" მარცხი აჰკიდა. უჰილო მასპინძლებმა ბოსტონელ ანტუან უოლკერს 16 სამიანი ასროლინეს, მათგან ექვსმა უწია მიზანს. საბოლოოდ უოლკერმა სეზონში უმეტესი ქულა მოიხვეჭა, „ბოსტონმა" კი ატლანტიკაში მეორე ადგილი შეინარჩუნა.

მას შემდეგ, რაც ვანკუვერიდან მემფისში გადაბარგდა, „გრიზლიზი" პირველად ესტუმრა უწინ მშობლიურ კანადას, კერძოდ, ერთადერთ იქაურ ნბა-ს ქალაქ ტორონტოს. კანადაში ყოფნისას „დათვებს" ცუდად რომ მისდიოდათ საქმეები, იმიტომ შეაფარეს თავი ამერიკას. „ტორონტოს" კი რა უჭირს. მასპინძლებმა მოუგეს სტუმრებს, თუმც მატჩის მეორე ნახევარში ერთობ გაწვალდნენ. „გრიზლიზი" ერთხანს 15 ქულით ჩამორჩა მეტოქეს, თუმც ორი ახალბედას, პაუ გასოლის და შეინ ბეტიეს მეცადინეობით დეფიციტი დაფარა და შემდეგ ერთი ქულითაც წინ გავიდა. ახალგაზრდა მემფისელებს ბებერმა ტორონტოელმა ჰაკიმ ოლაჯუონმა მიუჩინა თავიანთი ადგილი, ჯერ ჩააგდო და „რეპტორზს" ლიდერობა დაუბრუნა, სტუმართა საპასუხო შეტევაში კი ერთ-ერთ მათგანს დაუფარა. შემდეგ სხვა ტორონტოელებმაც გამოიღეს ხელი.

**ირაკლი ფირცხალავა**


REUTERS

ორლანდო — ბოსტონი. ბოსტონელმა პოლ პირსმა ტრეისი მაკგრეიდი აიცდინა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 10 | 5 | 66,7 |
| ბოსტონი | 7 | 6 | 53,8 |
| ნიუ იორკი | 8 | 8 | 50,0 |
| ფილადელფია | 7 | 7 | 50,0 |
| ორლანდო | 7 | 9 | 43,8 |
| ვაშინგტონი | 4 | 10 | 28,6 |
| მაიამი | 2 | 12 | 14,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 9 | 3 | 75,0 |
| დეტროიტი | 9 | 5 | 64,3 |
| ტორონტო | 10 | 6 | 62,5 |
| ინდიანა | 9 | 9 | 50,0 |
| შარლოტი | 7 | 7 | 50,0 |
| ატლანტა | 6 | 11 | 35,3 |
| კლივლენდი | 5 | 11 | 31,3 |
| ჩიკაგო | 2 | 12 | 14,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 10 | 3 | 76,9 |
| მინესოტა | 10 | 4 | 71,4 |
| დალასი | 10 | 6 | 62,5 |
| ჰიუსტონი | 7 | 8 | 46,7 |
| დენვერი | 6 | 9 | 40,0 |
| იუტა | 6 | 9 | 40,0 |
| მემფისი | 2 | 12 | 14,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 13 | 1 | 92,9 |
| საკრამენტო | 12 | 4 | 75,0 |
| ფინიქსი | 9 | 7 | 56,3 |
| პორტლენდი | 8 | 7 | 53,3 |
| სიეტლი | 8 | 9 | 47,1 |
| კლიპერსი | 7 | 8 | 46,7 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 9 | 43,8 |

# ლიგის სტატისტიკა

მდგომარეობა 30 ნოემბრისთვის

| მოთამაშე | კლუბი | თამაში | რაოდენობა | საშუალოდ |
|---|---|---|---|---|
| **ქულა** | | | | |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 14 | 384 | 27,4 |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 9 | 246 | 27,3 |
| პოლ პირსი | ბოსტონი | 13 | 349 | 26,8 |
| ნიკ ვან ექსელი | დენვერი | 15 | 401 | 26,7 |
| ვინს კარტერი | ტორონტო | 16 | 420 | 26,3 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 14 | 363 | 25,9 |
| მაიკლ ჯორდანი | ვაშინგტონი | 14 | 360 | 25,7 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 13 | 324 | 24,9 |
| ტრეისი მაკგრეიდი | ორლანდო | 16 | 395 | 24,7 |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი | საკრამენტო | 16 | 388 | 24,3 |
| დირკ ნოვიცკი | დალასი | 15 | 352 | 23,5 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 13 | 305 | 23,5 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 15 | 349 | 23,3 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 17 | 391 | 23,0 |
| ჯერი სტეკჰაუზი | დეტროიტი | 11 | 243 | 22,1 |
| ელტონ ბრენდი | კლიპერსი | 15 | 328 | 21,9 |
| ბარონ დევისი | შარლოტი | 14 | 306 | 21,9 |
| მაიკლ ფინლი | დალასი | 16 | 348 | 21,8 |
| შარიფ აბდურ-რაჰიმი | ატლანტა | 16 | 346 | 21,6 |
| **მოხსნა** | | | | |
| დანი ფორტსონი | გოლდენ სტეიტი | 16 | 214 | 13,4 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 13 | 173 | 13,3 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 14 | 173 | 12,4 |
| ლორენცენ რაიტი | მემფისი | 12 | 145 | 12,1 |
| დიკემბე მუტომბო | ფილადელფია | 14 | 167 | 11,9 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 14 | 160 | 11,4 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 13 | 144 | 11,1 |
| ბენ ვოლესი | დეტროიტი | 14 | 151 | 10,8 |
| ელტონ ბრენდი | კლიპერსი | 15 | 159 | 10,6 |
| შარიფ აბდურ-რაჰიმი | ატლანტა | 16 | 167 | 10,4 |
| **პასი** | | | | |
| ანდრე მილერი | კლივლენდი | 16 | 171 | 10,7 |
| ჯეისონ კიდი | ნიუ ჯერსი | 15 | 144 | 9,6 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 17 | 158 | 9,3 |
| ჯამაალ ტინსლი | ინდიანა | 18 | 165 | 9,2 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 15 | 135 | 9,0 |
| სტივენ მარბერი | ფინიქსი | 16 | 134 | 8,4 |
| ტერელ ბრენდონი | მინესოტა | 14 | 117 | 8,4 |
| ჯეისონ ვილიამსი | მემფისი | 14 | 115 | 8,2 |
| ენტონი კარტერი | მაიამი | 14 | 109 | 7,8 |
| სტივ ნეში | დალასი | 16 | 119 | 7,4 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 9 | 25 | 2,78 |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 14 | 31 | 2,21 |
| ბარონ დევისი | შარლოტი | 14 | 30 | 2,14 |
| მაიკლ ჯორდანი | ვაშინგტონი | 14 | 29 | 2,07 |
| ჯამაალ ტინსლი | ინდიანა | 18 | 37 | 2,06 |
| ჯეისონ ვილიამსი | მემფისი | 14 | 28 | 2,00 |
| დარელ არმსტრონგი | ორლანდო | 16 | 31 | 1,94 |
| კენი ანდერსონი | ბოსტონი | 13 | 25 | 1,92 |
| შონ მარიონი | ფინიქსი | 16 | 30 | 1,88 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 15 | 28 | 1,87 |
| **დაფარება** | | | | |
| ბენ ვოლესი | დეტროიტი | 14 | 47 | 3,36 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 14 | 41 | 2,93 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 13 | 35 | 2,69 |
| რიფ ლაფრენცი | დენვერი | 15 | 40 | 2,67 |
| ჯერმენ ონილი | ინდიანა | 15 | 39 | 2,60 |
| დიკემბე მუტომბო | ფილადელფია | 14 | 34 | 2,43 |
| ერიკ დამპიე | გოლდენ სტეიტი | 16 | 38 | 2,38 |
| ალონზო მურნინგი | მაიამი | 9 | 21 | 2,33 |
| პაუ გასოლი | მემფისი | 14 | 32 | 2,29 |
| გრეგ ოსტერტაგი | იუტა | 15 | 33 | 2,20 |

# ბოისამ ფაჩულია ბედში ჩაიზიარა

## ერთსაც და მეორესაც მხოლოდ შინ ენდობიან



*ზაზა ფაჩულიასთან ერთად ვლადიმერ ბოისა ის ქართველი კალათბურთელია, რომელიც ევროპის უმაღლესი დონის გუნდში ასპარეზობს. ბოისამ „ოლიმპიაში" თამაშის ოცნება სამი სეზონის ლოდინის შემდეგ აიხდინა. გეცოდინებათ, ის ამ გუნდის კუთვნილება იყო ამ ხნის მანძილზე, თუმცა გამოუცდელობის გამო კლასის ასამაღლებლად ჯერ სლოვენიურსავე „პოსტოინაში", შემდეგ კი ქართველებით დახუნძლულ „სლოვანში" იყო განათხოვრებული. დღეს კი ვოვა სრულფასოვანი ოლიმპიელია და მის შემადგენლობაში ევროლიგაში, ბებერი კონტინენტის ყველაზე ელიტარულ შეჯიბრებაში ასპარეზობს, მაგრამ ბოისას თამაში მარტო ევროლიგაში არ უწევს. იგი ლიუბლიანელებს ადრიატიკის ლიგაშიც ეხმარება, რომელშიც ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების წამყვანი კლუბები ასპარეზობენ. სეზონის ნახევარი თითქმის მიილია და ჩვენც გადავწყვიტეთ, ბოისას შევხმიანებოდით და მისგან ოლიმპიური ამბები მოგვესმინა.*

**— ოცნება აგიხდათ, „ოლიმპიას" ძირითად შემადგენლობაში მოხვდით, როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?**

— რა თქმა უნდა, უზომოდ გახარებული ვარ, რომ ევროპის ერთ-ერთ წამყვან კლუბში ვთამაშობ, მაგრამ აქ განსაკუთრებული არაფერი ხდება. მეოთხე წელია, რაც სლოვენიაში ვარ და აქაურობას ჩინებულად შევეგუე. განსხვავება ჩემი წინა გუნდებისგან მხოლოდ ისაა, რომ ახლა ვარსკვლავების მხარდამხარ მიწევს თამაში და გაცილებით ბევრს ვვარჯიშობ. ოთხ თვეზე მეტია, რაც „ოლიმპიაში" მოვედი და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორი დღე გვქონდა ისეთი, როცა არ გვივარჯიშია. ამასთან ერთად ძალიან მკაცრი გრაფიკი გვაქვს, თუმცა ყველაფერს შევეჩვიე. თუ გინდა, მაღალ დონეზე ითამაშო, რთულ ვარჯიშებზე და მკაცრ გრაფიკზე ლაპარაკი არ გარგებს.

**— „ოლიმპიაში" რომ მიგიწვიეს, მაშინ ამბობდით, მთავარია, ძირითად შემადგენლობაში მოვხვდეო. ახლა ეს ბარიერი დაძლეულია, თუმცა არა მგონია, მარტო თორმეტ კაცს შორის ყოფნა გაკმაყოფილებდეთ...**

— მიგიხვდით, რის თქმაც გსურთ, თამაშს გულისხმობთ. გეთანხმებით, რომ მხოლოდ შემადგენლობაში ყოფნა არაფერს ნიშნავს, თუ მატჩებში მონაწილეობა არ მიიღე. ამ მხრივ არც თუ ცუდად მაქვს საქმე. საშუალოდ 5-10 წუთით მიწევს თამაში, რაც ჩემი ასაკის ახალბედისთვის, ამ დონის გუნდში, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ჩემს პოზიციაზე უმაღლესი დონის კალათბურთელები თამაშობენ. სტიპე მოდრიჩი და იასმინ ჰუკიჩი ამ ეტაპზე ჩემზე ძლიერები არიან და სათამაშო დროის უმეტეს ნაწილსაც ისინი ატარებენ მოედანზე. ეს კალათბურთელები ფრთის პოზიციაზე თამაშობენ, თუმცა როცა თავდამსხმელები დაშავდებიან, მათ მაგივრად მიწევს ხოლმე მოედანზე გასვლა. ისე, ამ პოზიციაზე უფრო ძლიერი კონკურენციაა, იურიცა გოლემაცი და ტუნჯი ავოჯობი გუნდის ლიდერები არიან.

**— ევროლიგაში თამაში კარგად დაიწყეთ, თუმცა ბოლოს ცოტა წაიფორხილეთ...**

— გუნდის ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს, რომ ურიგოდ ვთამაშობთ. ექვსიდან მხოლოდ ორი მატჩი წავაგეთ, ისიც სტამბოლში „ულქერთან" და ბოლონიაში „კინდერთან". ეს გუნდები „ოლიმპიას" არაფრით ჩამოუვარდებიან და მათთან სტუმრად დამარცხება ტრაგედია არ გახლავთ. მომავალ ტურში ბარსელონაში ვთამაშობთ და თუ გამარჯვება მოვახერხეთ, ვფიქრობ ჯგუფიდან გამსვლელ ოთხეულში ადგილი დაჯავშნული გვექნება.

**— „ოლიმპიასა" და „ულქერის" დაპირისპირება კი შედგა, მაგრამ ბოისა — ფაჩულიასი არა...**

— გული მომიკვდა. წარმოიდგინეთ, სლოვენიის პირველი გუნდი თურქეთის პირველ გუნდს ხვდება, სათადარიგოთა შორის ზიხარ და მოედანზე მოწინააღმდეგე გუნდში შენი თანამემამულე, მეგობარი თამაშობს. თანხმა ვიყავი, ორი წუთით შევსულიყავი მოედანზე და მომდევნო სამი თამაში საერთოდ გამომეტოვებინა, მაგრამ საგადინი პრაგმატული კაცია, არ გარისკა და გამოცდილ კალათბურთელებს ენდო, თუმცა მაინც დავმარცხდით. ისე, მე და ზაზა ევროლიგის თამაშებში ერთ ბედ ქვეშ ვართ. საგადინიც და დიდინიც ქართველებს მხოლოდ საშინაო მატჩებში ათამაშებს, გასვლებზე კი არ ენდობა.

**— ევროლიგას როგორ შეეწყვეთ, ხომ არ გაგიჭირდათ?**

— არა, ყოველ შემთხვევაში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. როცა მოედანზე გავდიოდი, ურიგოდ არ ვთამაშობდი. ბოლო შეხვედრაში ფრანკფურტის „სკაილაინერზთან" ძირითად ხუთეულში დავიწყე, ჩემი გუნდის საწყისი 4 ქულა და სამი მოხსნა მივითვალე, მაგრამ ხუთ წუთში მწვრთნელმა თამაშიდან გამიყვანა და აღარც დაუბრუნებივარ. დაახლოებით ამგვარი რამე მოხდა კაუნასის „ჟალგირისთანაც". საგადინმა სასტარტო ხუთეულში გამამწესა, თუმცა მალევე შემცვალა და მხოლოდ მატჩის მიწურულსღა მომცა თამაშის საშუალება.

**— რატომ? თქვენ თვლით, რომ ურიგოდ არ თამაშობთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ საგადინი უსამართლოდ მექცევა, გითხარით კიდეც, ჩემი კონკურენტები გაცილებით გამოცდილნი არიან და არც მიკვირს, რომ მწვრთნელსაც მათი უფრო ეიმედება. მე ხომ ასეთი დონის მატჩებში არც თუ ხშირად მიმიღია მონაწილეობა. რაც მთავარია, როცა მოედანზე ვარ, თავს არ ვირცხვენ, დანარჩენი კი მომავლის საქმეა. ისე, მინდა ავღნიშნო, რომ „ოლიმპიაში" არც ერთ მოთამაშეს არ უწევს მოედანზე დიდხანს ყოფნა. ჩემი აზრით, საგადინი ის მწვრთნელია, რომელიც მაქსიმალურად იყენებს თავისი გუნდის რეზერვებს და იშვიათობაა ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე კალათბურთელი უთამაშებლად ტოვებს მოედანს. ერთადერთი, ვინც სათამაშო დროის დიდ ნაწილს მოედანზე ატარებს, ირჟი ველშია.

**— სლოვანელ ქართველებთან თუ გაქვთ კონტაქტი?**

— აბა, ისე როგორ იქნება, მაგრამ ამას ხშირად ვერ ვახერხებ, რადგან ზემოთაც გითხარით, რომ მეტად მკაცრი გრაფიკი გვაქვს.

**— როგორ აქვთ საქმე...**

— „სლოვანი" რვა კალათბურთელმა დატოვა, თუმცა ეს ერთი მხრივ კარგიცაა, რადგან ახლა გუნდის ლიდერები ქართველები არიან, არც მათი თამაშის ხარისხს დატყობია რვა მოთამაშის წასვლა. გეცოდინებათ, „სლოვანმა" კრანის ფინის მატჩი სტუმრად სარატოვის „ავტოდორი" დაამარცხა და როგორც ჩანს, ამ ტურნირზე გუნდის მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს შორს მიმავალი გეგმებიც დაუსახავს.

**— ნიკა ცქიტიშვილისგან ახალი ხომ არაფერია?**

— არა, ისევ არ იძლევა „სლოვანი" ნიკას განთავისუფლების ფურცელს, მაგრამ, როგორც მან სამი დღის წინ სატელეფონო საუბრისას მითხრა, დიდი იმედი აქვს, რომ ეს საქმე მისთვის დადებითად გადაწყდება.

**— თავისუფალ დროს ვისთან ერთად ატარებთ?**

— თავისუფალი დრო ცოტა გვაქვს. 12 საათიდან სახლიდან გასვლის უფლება არ გვაქვს. მანამდე კი იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა გუნდელები ერთად ვიკრიბებით. ისედაც მთელი დღე ერთად ვართ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მყავს ახლობლები, რომლებთანაც უფრო ხშირად ვიმყოფები. ველში და უდრიჰი ჩემი ხშირი სტუმრები არიან, როგორც მე — მათი. ხოლო როცა გასვლითი მატჩები გვაქვს, თითქმის სულ ერთად ვართ. ისე, გოლემაცთანაც საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს.

**— თქვენს გუნდსაც ჰქონდა რაღაც ფინანსური პრობლემები, ახლა რა სიტუაციაა?**

— „ოლიმპიას" 2 მილიონი მარკა ჰქონდა სახელმწიფოს ვალი, რომელიც მგზავრობის, სტუმარი გუნდების მიღების და სხვადასხვა დავალიანების გამო დაგროვდა და შესაბამისად მოთამაშეებსაც არ გვილხინდა ანაზღაურების მხრივ. იყო პერიოდი, როცა ჩემი გუნდელები ექვსი თვე უხელფასოდ იყვნენ, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდა. გუნდის ხელმძღვანელობამ ვალები დაფარა და მხოლოდ ნახევარი მილიონიღა მართებს სლოვენიის მთავრობისა. ესეც მალე დაიფარება.

**— ადრიატიკის ლიგაზეც ვთქვათ...**

— მომავალ ტურში ზაგრების „ციბონას" ვხვდებით. „ოლიმპიას" მერე იგი მეორე ადგილზეა და ეს შეხვედრა ბევრ რამეს გადაწყვეტს.

**— ისე, ამ ტურნირის მოგება არ უნდა გაგიჭირდეთ...**

— გუნდის ხელმძღვანელობაც იგივეს ფიქრობს და მგონი ასეც მოხდება. ერთადერთი კონკურენტი „ციბონაა". ისე, იუგოსლავიური „ბუდუჩნოსტიც" ეცდება, თავისი სიტყვა თქვას.

**ირაკლი ბერტაია**

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

გეპატიჟებით საბილიარდოში!
უმაღლესი
ხარისხის
მაგიდები და
მომსახურეობა
მუხიანის I მიკრორაიონი,
კორპუსი 3ა ტელ.: 630660

შიტორიუ კარატე-დო
კოფუკანის კლუბი „სოდანი"
აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-დან ჴ წლამდე.
ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური, I და III დანის ინსტრუქტორები.
ტარდება შეჯიბრებები საქართველოშიც და უცხოეთშიც, ასევე ეწყობა ქამრის (ხარისხის) მისანიჭებელი გამოცდები და გაიცემა სერთიფიკატი.
ამ კლუბში გაიზარდნენ მსოფლიო და ევროპის პრიზიორები და საქართველოს მრავალი გზის ჩემპიონები ყოველ წელს თბილისში ჩამოდის იაპონიის კარატე-დო კოფუკანის ფედერაციის პრეზიდენტი, VII დანის მფლობელი კოჯი ტომიამ რომელიც ატარებს სემინარებს და გამოცდებს.
გთხოვთ, მობრძანდეთ
ვარჯიშები ტარდება:
მე-60 საშუალო სკოლაში
ორშაბათს, ხუთშაბათს საღამოს 18 - 20, საათი შაბათს 13 - 15 საათი.
მეტრო ელექტრო დეპოსთან ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე
ორშაბათი, ოთხშაბათი პარასკევი საღამოს 16 - 18 საათი
ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55 მალხაზ ჟუჟუნიძე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# შათაუტი, ნანატრი!

29 ნოემბერი

**კოლუმბუსი 1:3 სენტ ლუისი**
(1:1 0:1 0:1)
1:0 ვიბორნი 12(3), 1:1 დემიტრა 20(16), 1:2 დემიტრა 24(17), 1:3 იანგი 59(5)

**რეინჯერსი 5:0 კაროლინა**
(1:0 2:0 2:0)
1:0 ნედვედი 10(6), 2:0 ფლერი 26(10), 3:0 ფლერი 28(11), 4:0 იორკი 53(11), 5:0 მალახოვი 55(4)

**აილენდერსი 1:1 მონრეალი**
(0:0 1:0 0:1 0:0)
1:0 იაშინი 27(15), 1:1 სურეი 41(2)

**ფილადელფია 2:3 ბოსტონი**
(0:1 1:1 1:0 0:1)
0:1 სამსონოვი 19(10), 0:2 გერინი 23(8), 1:2 გ. მიურეი 33(3), 2:2 რეკი 51(8), 2:3 შტუმპელი 64(4)

**ტამპა 5:2 ატლანტა (1:0 2:0 2:2)**
1:0 კუბინა 3(3), 2:0 რიჩარდსი 21(5), 3:0 კალიმორი 30(2), 4:0 ანდრეიჩუკი 46(4), 4:1 პოტიე 49(1), 4:2 ჰიტლი 55(8), 5:2 პროსპალი 59(8)

**მინესოტა 6:0 ფლორიდა**
(3:0 3:0 0:0)
1:0 შულცი 6(1), 2:0 დიუპუი 17(5), 3:0 ჟოლტოკი 20(5), 4:0 ლააკსონენი 25(3), 5:0 გაბორიკი 33(13), 6:0 გეივი 37(3)

**კალგარი 0:3 დალასი (0:2 0:0 0:1)**
0:1 ბრიუნე 3(2), 0:2 მოდანო 7(9), 0:3 ტარჯონი 52(5)

**სან ხოსე 5:0 პიტსბურგი (3:0 2:0 0:0)**
1:0 ტორნტონი 10(8), 2:0 სელიანე 17(9), 3:0 გრეივზი 19(2), 4:0 დამფუსი 29(11), 5:0 რიჩი 30(3)

**ლოს ანჯელესი 1:3 ედმონტონი**
(0:1 0:1 1:1)
0:1 ბრიუერი 3(3), 0:2 ჰეხტი 29(8), 1:2 ბელანჟე 55(5), 1:3 გრირი 60(3)

**ფინიქსი 1:0 ნეშვილი (0:0 1:0 0:0)**
1:0 ბერეზინი 30(3)

რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერს მთელი სამი წელი ვერ მოეხერხებინა ის, რაც იმავე პატრიკ რუამ ოთხჯერ გააკეთა თერთმეტი დღის განმავლობაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ რიხტერი იყო ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთადერთი, ვისაც ყველაზე ნაკლებად ეთქმებოდა საყვედური ნიუ-იორკელთა შორის და რა მისი ბრალია, რომ ხუთშაბათამდე 143 მატჩში უშვებდა გოლს. როგორც იქნა, „რეინჯერებმაც" შეიგნეს, რომ მუდამ მეკარის იმედზე ვერ იქნებიან და კაროლინასთან უშეცდომოდ გაისარჯნენ დაცვაში. ამის წყალობით რიხტერს მისთვის უჩვეულოდ ცოტა, 22 დარტყმის მოგერიება მოუხდა და საბოლოოდ მიითვალა კიდეც ესოდენ ნანატრი შათაუტი.

„მაიკი საუცხოოდ თამაშობს. ჩვენც დავეხმარებით და იმედია, სულ მალე კიდევ ერთხელ გააკეთებს შათაუტს" — თქვა მატჩის შემდეგ გუნდის ლიდერმა ერიკ ლინდროსმა. რაღა გვეთქმის, რეინჯერსმა ბოლოდროინდელ ოინებს თავი ანება და ამჯერად გაცილებით გონიერ, ორგანიზებულ გუნდად მოგვევლინა. მაშინაც კი, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მასპინძლებმა ყურადღება არ მოადუნეს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

თუმცა კაროლინას შეეძლო, ერთი გოლი მაინც გაეტანა, მაგრამ რიხტერს ბედი აშკარად სწყალობდა. ბოლო პერიოდის შუაგულში კართან ბრძოლის შემდეგ შაიბა პირით ხაზზე გაცურდა და ძელთან გაჩერდა, მერე კი მას რიხტერი დაეუფლა. კვლავ გამოირჩა „რეინჯერების" „FLY-LINE". 5 გოლიდან 3 მათ ანგარიშზეა, აქედან ორი ფლერიმ მიითვალა. მაგრამ ყველაზე ლამაზი გოლი იორკმა გაიტანა ერიკ ლინდროსის (0+2) ჩინებული პასის შემდეგ.

რიხტერისგან განსხვავებით, მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორმა კარი მშრალად ვერ შეინახა, მაგრამ მას აშკარად გაუმართლა. კანადელთა კარი სამჯერ გადარჩა — ორჯერ შაიბა ძელს მოხვდა, ხოლო ერთხელ კრეიგ რივემ მას პირით ხაზთან მიუსწრო. ცხადია, მონრეალი ფრიით ერთობ კმაყოფილი მით უმეტეს, რომ წაუგებელი სერია 6 მატჩამდე გააგრძელა.

ბოსტონელი სერგეი სამსონოვის ფანტასტიკური გოლი ისეთი მნიშვნელოვანი მაინც არ იყო, როგორიც იოზეფ შტუმპელისა — სლოვაკმა ხომ ოვერტაიმში გამარჯვება მოუტანა გუნდს. თუმცა ათამაშებული რუსის (8+14 ბოლო 16 მატჩში) გოლი ნამდვილად არის აღწერის ღირსი. გლენ მიურეის პასის შემდეგ მას შაიბის დამორჩილება, წესით, უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ სამსონოვმა რეზინის დისკი ოსტატურად გაიძვრინა ფეხებს შუა და ისე მოულოდნელად გაისროლა, რომ ფილადელფიელი მეკარე რომან ჩეხმანეკი ვერც კი მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ის კარში.

ზედიზედ ორი უქულო მატჩი ვის არ ჩაუტარებია, მაგრამ კალგარელი ჯერომ იგინლასგან ამას არავინ ელოდა. დალასთან შეხვედრაში თავად იგინლას ხელმაყრელი მომენტი არ ჰქონია, თუმცა ერთხელ მისი პასის შემდეგ კრეიგ კონროიმ შაიბა ძელს გაარტყა. მთლიანობაშიც კალგარის ათამაშებულ დალასთან ნაკლები შანსი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ სტუმართა მეკარე მარტი ტურკომ, რომელსაც ამ სეზონში პირველად მიეცა ზედიზედ ორი მატჩის ჩატარების შესაძლებლობა, უშეცდომოდ ითამაშა. გამოვყოთ პიერ ტარჯონის გოლი: ლამის ერთთვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული ვეტერანი პირველივე შეხვედრაში გამოირჩა.

როგორც კი პავოლ დემიტრამ ისევ დაიწყო გოლების გატანა, სენტ ლუისმაც შეწყვიტა უხეირობა. სლოვაკმა ზედიზედ მეორე დუბლი მიითვალა, ამჯერად კოლუმბუსთან. აღსანიშნავია, რომ „ბლუზმენები" უკვე მესამედ ეწვივნენ კოლუმბუსს. პირველი ორი შეხვედრისგან განსხვავებით, როცა სტუმრებმა მოპოვებული უპირატესობა მატჩის მიწურულს გაფლანგეს, ამჯერად მათ ბოლო წუთები ერთობ საიმედოდ ჩაატარეს.

სანხოსელმა ევგენი ნაბოკოვმა ორი წლის განმავლობაში საკლუბო რეკორდების დამყარებაც მოასწრო. რუსის მორიგი შათაუტი მე-10 იყო მის ხანმოკლე კარიერაში, რის ხარჯზეც ახალგაზრდა მეკარემ სტივ შილდსის მიღწევა გაიმეორა. შათაუტიც ღირსეული გამოდგა — 38 მოგერიება.

ზედიზედ მე-4 საშინაო გამარჯვება იზეიმა ტამპამ, ხოლო ძმებ ბურეების გარეშე მოთამაშე ფლორიდა, როგორც ჩანს, წლეულსაც ჩააფლავებს სეზონს. ამჯერად მეკარე რობერტო ლუონგოსაც მობეზრდა პარტნიორთა გაუთავებელი შეცდომების გამოსწორება და ჩვეულებრივ ნაკლებად შედეგიანმა მინესოტამ 6 გოლით საკლუბო რეკორდი გაიმეორა.



ლოს ანჯელესი — ედმონტონი. ჯეიმი სტორმა ედმონტონელი მაიკლ გრირის დარტყმული აიღო

### საშუალო ღარიბიანი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 25 | 13 | 3 | 2 | 7 | 63:57 | 31 |
| ტორონტო | 25 | 13 | 2 | 3 | 7 | 69:58 | 31 |
| მონრეალი | 24 | 12 | 3 | 1 | 8 | 60:59 | 28 |
| ოტავა | 23 | 12 | 3 | 0 | 8 | 76:59 | 27 |
| ბუფალო | 27 | 11 | 2 | 1 | 13 | 72:68 | 25 |
| ატლანტიკა | | | | | | | |
| აილენდერსი | 25 | 15 | 4 | 1 | 5 | 75:61 | 35 |
| რეინჯერსი | 27 | 15 | 2 | 1 | 9 | 80:74 | 33 |
| ფილადელფია | 23 | 10 | 5 | 1 | 7 | 66:53 | 26 |
| პიტსბურგი | 25 | 10 | 3 | 2 | 10 | 53:62 | 25 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 9 | 2 | 2 | 9 | 54:63 | 22 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 28 | 12 | 4 | 2 | 10 | 67:74 | 30 |
| ტამპა | 24 | 10 | 1 | 1 | 12 | 53:55 | 22 |
| ვაშინგტონი | 25 | 9 | 3 | 0 | 13 | 67:79 | 21 |
| ფლორიდა | 25 | 6 | 2 | 3 | 14 | 50:75 | 17 |
| ატლანტა | 24 | 5 | 2 | 2 | 15 | 51:94 | 14 |
| ცენტრი | | | | | | | |
| დეტროიტი | 26 | 21 | 1 | 1 | 3 | 91:60 | 44 |
| ჩიკაგო | 26 | 12 | 7 | 0 | 7 | 78:73 | 31 |
| სენტ ლუისი | 24 | 12 | 3 | 1 | 8 | 62:54 | 28 |
| ნეშვილი | 25 | 9 | 3 | 0 | 13 | 65:69 | 21 |
| კოლუმბუსი | 26 | 7 | 5 | 1 | 13 | 51:71 | 20 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| ედმონტონი | 27 | 16 | 3 | 1 | 7 | 74:50 | 36 |
| კალგარი | 25 | 13 | 4 | 2 | 6 | 71:60 | 32 |
| მინესოტა | 26 | 11 | 4 | 2 | 9 | 71:73 | 28 |
| კოლორადო | 25 | 12 | 1 | 0 | 12 | 54:52 | 25 |
| ვანკუვერი | 28 | 11 | 3 | 0 | 14 | 73:71 | 25 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 25 | 11 | 4 | 3 | 7 | 67:59 | 29 |
| დალასი | 25 | 9 | 6 | 3 | 7 | 62:63 | 27 |
| ფინიქსი | 25 | 10 | 3 | 3 | 9 | 58:64 | 26 |
| ლოს ანჯელესი | 24 | 7 | 3 | 2 | 12 | 60:64 | 19 |
| ანაჰაიმი | 25 | 7 | 3 | 0 | 15 | 52:71 | 17 |

**ბომბარდირები** იგინლა (კალგარი) 37(20+17), შენაჰანი (დეტროიტი) 32(18+14), სამსონოვი (ბოსტონი) 29(10+19), დემიტრა (სენტ ლუისი) 28(17+11), პერიში (აილენდერსი) 28(16+12), იაშინი (აილენდერსი) 28(15+13), ლინდროსი (რეინჯერსი) და ალფრედსონი (ოტავა) 28(13+15), ნესლუნდი (ვანკუვერი) და გაბორიკი (მინესოტა) 27(13+14), ფლერი (რეინჯერსი) 27(11+16) ტკაჩუკი (სენტ ლუისი) 26(12+14), ფიოდოროვი (დეტროიტი) 26(11+15), ტორნტონი (ბოსტონი) 26(10+16), კონროი (კალგარი) და ჟამნოვი (ჩიკაგო) 26(9+17)

დევისის თასის ფინალი

# ჰიუიტს და ღრაფტერს ხმა ჩაუწყდათ

**ავსტრალია 1:1 საფრანგეთი**

**ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 4:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (8:6), 7:5**

ავსტრალიის ნაკრები ზედიზედ მესამედ გავიდა დევისის თასის ფინალში და მისი მასპინძლობის უფლებაც მოიპოვა. 1999 წელს ოზებმა ნიცაში ამჟამინდელი მეტოქე საფრანგეთი დაამარცხეს, შარშან კი ბარსელონაში ესპანელებთან წააგეს. სულ ავსტრალიელებმა დევისის თასის 23 ფინალს უმასპინძლეს და ჩვიდმეტჯერ იმარჯვეს. პირველად 1908 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები იმსხვერპლეს, ბოლოს კი, 1986 წელს, შინ შვედებს აჯობეს.

მწვანე კონტინენტის საუკეთესო მეჩოგნეებს წლეულსაც ჩინებული შანსი აქვთ, კიდევ ერთი თასით გაამდიდრონ ავსტრალიური ჩოგბურთის ისედაც მდიდარი კოლექცია. საამისოდ ოზებს ფრანგების დამარცხება მართებთ.

გუშინ ფინალის პირველი დღე იყო. მელბურნის „როდ ლეივერ არენაზე" მისული თხუთმეტი ათასი ფანი ერთეულთა თანრიგში ორი დაძაბული შეხვედრის მომსწრე შეიქნა.

პირველებმა მწვანე კორტზე მასპინძელმა ლეიტონ ჰიუიტმა და ნიკოლა ესკუდემ შედგეს ფეხი. ჰიუიტს თავისი ანგარიშიც ჰქონია ესკუდესთან. ბოლოს ეს ორნი უიმბლდონზე, მეოთხე წრეში გადაეყარნენ ერთმანეთს. მაშინ ხუთსეტიან პაექრობაში გამარჯვება ფრანგს დარჩა. მათ ახლაც ხუთი სეტი იბრძოლეს და როგორც უიმბლდონზე, ამჯერადაც ესკუდემ სძლია ჰიუიტს. არადა, ავსტრალიელი პირველ მატჩს მართავდა მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნის რანგში და ისეთი რიხით დაიწყო, კაცი იფიქრებდა, რომ სამსეტში მოუმთავრებს მეტოქეს საქმესო.

ჰიუიტმა ზედიზედ საწყისი თორმეტი გათამაშება მოუგო ფრანგს. უპირატესობა არც სეტის ბოლომდე გაუშვია ხელიდან და საბოლოოდ პირველ ხელში 6:4 იძალა. თანაც ექვსიდან ხუთი გეიმი მშრალად მოუგო ესკუდეს. მეორე სეტში ესკუდემ მოწოდება გააძლიერა, ჰიუიტი კი პატარა ბავშვივით დაიბნა და უნებლიე შეცდომებმაც იმატა. ავსტრალიელს ვერც თხუთმეტი ათასი ფანის მხარდაჭერამ უშველა, რომელმაც ხმა მალე ფრანგთა 50-კაციანმა ჯგუფმა გადაფარა. დაფდაფებით და საყვირებით შეიარაღებულმა ფრანგმა ტურისტებმა გვარიანად შეაგულიანეს თანამემამულე და ესკუდემაც ზედიზედ ჩაუგდო ბურთები მსოფლიოს პირველ ჩოგანს. მესამე და მეოთხე სეტებში მეტოქეებმა მოგებები გაცვალეს, გადამწყვეტ, მეხუთე სეტში კი ესკუდემ ძალები მოიკრიბა და დაბნეულ ჰიუიტს ბლომად შეცდომები დაააშვებინა. 1:1-ზე ჰიუიტმა თავისი მოწოდება დათმო და წინ ფრანგი გაუშვა. ავსტრალიელი ალბათ ელოდა, რომ მეტოქე გადამწყვეტ ხელში თავად აჩუქებდა მოგებას, მაგრამ შეცდა. ბრწყინვალედ მოთამაშე ესკუდემ ბოლომდე გამოიყენა თავისი პოტენციალი. ეისების გარდა სტაბილურობით და აზროვნების უნარითაც გამოირჩა და მაყურებლებიც და მრისხანე მეტოქეც არაერთხელ გააოცა. ჰიუიტის ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა, ესკუდემ შანსი ხელიდან არ გაუშვა და იოლად გაუსწრო მას. „თამაში მესამე სეტში წამივიდა და გადავწყვიტე, საქმე ბოლომდე მიმეყვანა. ჰიუიტისთვის გონს მოსვლა რომ მეცლია, დარწმუნებული ვარ, დავმარცხდებოდი" — განაცხადა ნამატჩევს გახარებულმა ესკუდემ. ჰიუიტმა კი ეს თქვა: „ბლომად ორმაგი შეცდომა დავუშვი და ბევრიც შევცოდე".

თუ ჰიუიტმა საკუთარი გულშემატკივარი გვარიანად გააწბილა, მისმა თანამემამულემ, საპენსიოდ გამზადებულმა პატრიკ რაფტერმა თავის ახალგაზრდა კოლეგასთან შედარებით მეტი ჟინიანობა გამოიჩინა და შეკრებილი მაყურებელი ფრიად ასიამოვნა.

ბადესთან თამაშის ოსტატს მატჩამდე მარჯვენა ხელის მტევნის დაჭიმული მყესები აწუხებდა, თუმც ამ ტრავმას მისთვის სებასტიან გროჟანის დამარცხებაში ხელი დიდად არ შეუშლია. რაფტერმა პირველი სეტი შედარებით იოლად, 6:3 მოიგო. აი, მეორეში კი ტკივილმა გვარიანად შეაწუხა და ერთ მონაკვეთში პოზიციებიც დათმო. გროჟანი ამ დროს 5:3 დაწინაურდა, მაგრამ ხელმტკივანმა რაფტერმა ჩამორჩენა მალევე შეამცირა, მეტოქეს სამი სეტ-პოინტიც გაუბათილა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. იქ კი ვეტერანმა ავსტრალიელმა ყუმბარისებური დარტყმებით გაყოყოჩებულ ფრანგს შანსი არ დაუტოვა. მესამე ხელში თამაში ქულა-ქულაზე წარიმართა. ვერც ერთმა მეჩოგნემ ვერ შეძლო საგრძნობლად წინ გასვლა. დაიწყო ნერვების თამაში, რომელშიც კვლავ ავსტრალიელმა იმარჯვა.

მესამე სეტის ბოლოს გროჟანმა თავის მოწოდებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, რამაც აშკარად დააბნია. რაფტერი კი ის კაცი არ არის, მეტოქეს რამე აპატიოს. „მე ბევრი ვივარჯიშე და ვიწვალე, რათა მტკივანი მაჯა მომერჩინა. ძალიან მიხარია, რომ ჩემი მარჯვენა ჩვეულად მუშაობს" — აღნიშნა პატრიკ რაფტერმა.

პირველ დღეს მეტოქეები ფრით გაიყარნენ. დღეს ერთმანეთს წყვილები შეეჯიბრებიან. ტოდ ვუდბრიჯი და უეინ არტურსი ფაბრის სანტოროს და სედრიკ პიოლინს დაუპირისპირდებიან. ხვალ კი ლეიტონ ჰიუიტი სებასტიან გროჟანის, ხოლო რაფტერი ნიკოლა ესკუდეს დამარცხებას შეეცდება.

**ბაჩო სვანიძე**



ნიკოლა ესკუდეს გამარჯვება თანაგუნდელებმა მიულოცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 დეკემბერი | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
